საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 179 (2095) · შაბათი, 2 დეკემბერი, 1995 წელი. · ფასი 25 თეთრი

## „სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი თავისი პოტენციით მომავლისაკენ მიმართული ინსტიტუტია, ოცდამეერთე საუკუნისათვის შესაფერისი იდეებითა და შესაძლებლობებით"

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 1995 წლის 30 ნოემბერს

უწინარესად, მინდა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ მხარდაჭერისათვის და სითბოსათვის, რომელიც აქ ვიგრძენი დღეს, ისევე, როგორც ყოველთვის მეცნიერების ამ დიდ ტაძარში. ნება მომეცით, მოგილოცოთ ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის, მე ვიტყოდი, განსაკუთრებული ინსტიტუტის 50 წლისთავი. განსაკუთრებულია თქვენი ინსტიტუტი თავისი ბიოგრაფიით, განსაკუთრებულია თავისი მეცნიერული მიღწევებით, განსაკუთრებულია, თავისი ტრაგიკული ბედით. ვფიქრობ, არავინ მიწყენს თუ ვიტყვი, რომ ამ განსაკუთრებულობის გამო მსოფლიოში, ალბათ, მეორე ასეთი სამეცნიერო ცენტრი არ მოიპოვება. ყველაფერი ის, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, თქვენ ძალიან კარგად იცით, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რათა მთლიანობაში იქნეს გააზრებული ინსტიტუტის დაარსება, მისი მოღვაწეობა, მისი დარბევა, ხოლო მათ, ვინც ეს ყოველივე არ იცის, გაიგოს და გაიაზროს.

როდესაც 1945 წელს, ომის დამთავრებიდან ორი თვის შემდეგ, იოსებ სტალინის ხელმოწერით სინოპსა და აგუძერაში ორი „ობიექტი" დაარსდა, მაშინ ასე უწოდებდნენ, უკვე იყო განსაზღვრული, რომ აქ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრი შეიქმნებოდა. ძირითადი ამოცანა, რომელიც დაისვა ამ „ობიექტების" წინაშე, იყო საბჭოთა ურანის პროექტისათვის ურანის იზოტოპების დაშლის მეთოდებისა და დანადგარების შექმნა, შექმნა რადიაციული გამოსხივების რეგისტრაციისა და კონტროლის აპარატურისა და სხვა მრავალი. ეს სახელმწიფოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანები იყო, მაგრამ მათ უკან იდგა უფრო დიდი პრობლემა — სამეცნიერო სკოლის შექმნა, უნიკალური ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ყველა ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა:

კარგად მოგეხსენებათ, რომ 1945 წლის ივნისში საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს ის გერმანელი ფიზიკოსები, რომლებიც ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდნენ. ამ მეცნიერთა ნაწილმა სწორედ საქართველოში, ამ „ობიექტებზე" განაგრძო მუშაობა: აგუძერაში სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ნობელის პრემიის ლაურეატი, მეცნიერი და დიდი გამომგონებელი გუსტავ ჰერცი, სინოპში — პროფესორი მანფრედ ფონ არდენე. იმ დროს, მათ გარდა, აქ მუშაობდნენ გერმანელი პროფესორები მაქს შტეინბერკი, პიტერ ტიესსენი, ნიკოლას რიხლი, მაქს ფოლმერი, ვეინც ბარვიხი და მრავალი სხვა. ამასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის უნიკალური მოვლენა ჩვენი მეცნიერების ისტორიაში და, თუ გნებავთ, საქართველოს ისტორიაში — გერმანელი მეცნიერების, საქვეყნოდ, მსოფლიოში ცნობილი სწავლულების მონაწილეობა მაშინდელი დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელებასა და ჩვენი მეცნიერული სკოლის შექმნაში. ვისურვებდი, რომ გვეფიქრა ამ მეცნიერების, მათი ცხოვრების, მოღვაწეობის ამსახველი სერიოზული სტენდის შექმნაზე. ქართულ-გერმანული ურთიერთობა დღეს ისეთ დონეზეა, რომ ეს მართლაც ერთ-ერთი სერიოზული სტიმული შეიძლება გახდეს ამ ურთიერთობის, ჩვენი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის.

სწორედ ამ მეცნიერთა უმაღლესმა კვალიფიკაციამ განაპირობა ის, რომ უკვე 1945 წლის ზაფხულში (ეს საშინელი საიდუმლოება იყო, მაგრამ დღეს აღარ არის საიდუმლოება) გერმანიიდან ჩამოტანილი ფხვნილისაგან დაიწყო მეტალური ურანის გამოდნობა და ჩამოსხმა. მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა პროფესორების ჰერცის და რიხლის ჯგუფებს, დოქტორ შიუტცეს, პროფესორ ბარვიხს. ხოლო, როდესაც რუს მეცნიერებს მთელი რიგი სირთულეები შეექმნათ გამყოფ დანადგარებში კოროზიის გამო, გერმანელმა მეცნიერებმა ტიესსენმა და ბარვიხმა ეს პრობლემა გადაჭრეს.

მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ სინოპსა და აგუძერაში გერმანელ მეცნიერთა იზოლირებული ჯგუფი მუშაობდა. თავიდანვე მათთან ერთად საქმიანობდნენ მოსკოვის, თბილისისა და სხვა ქალაქების სამეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტები: ილია ქვარცხავა, მიხეილ კოზოდაევი, ბორის ისაევი, რაჩია დემირხანოვი, ირაკლი გვერდწითელი, დავით ჭკუასელი, ვლადიმერ მიგულინი, პავლე სულინოვი, ვარლამ ხაჩიშვილი, გიგა მირიანაშვილი, შალვა ბურდიაშვილი, ირაკლი კირვალიძე, ცოლ-ქმარი გუსევები, ცოლ-ქმარი პოროშინები და სხვანი და სხვანი, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს გერმანელი მეცნიერებისათვის სამუშაო კლიმატის შექმნასა და მათთან ერთად ახალი მეცნიერული პრობლემების დამუშავებასა და გადაჭრაში.

სწორედ ყოველივე ამის შედეგად გახდა შესაძლებელი ის, რომ უკვე 1946-48 წლებში სოხუმის „ობიექტებისთვის" მიცემული მთავარი დავალება შესრულდა, ხოლო სახელმწიფო ჩანაფიქრის დასრულება, ისევ სოხუმელი სპეციალისტების მონაწილეობით, ლენინგრადში მოხდა.

ყველამ იცის, რომ პირველი საბჭოთა ატომური ბომბი 1949 წელს გამოსცადეს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამასთან დაკავშირებით ბევრი ზემოხსენებული გერმანელი და ადგილობრივი სპეციალისტის შრომა მაღალი სამთავრობო ჯილდოებით აღინიშნა.

იმ წლებში სხვა მნიშვნელოვანი წარმატებებიც იყო, თუნდაც ბირთვული იზოტოპების თერმოდიფუზიური და ელექტრომაგნიტური ხერხით განცალკევების ორი მეთოდი: პირველი — ჰერცისა და მეორე — ფონ არდენესი. ყველაფერი ეს შემდეგ ბევრი მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულების ფუნდამენტად იქცა უკვე გაერთიანებულ ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში.

წარმატებით მუშაობა ბირთვული იზოტოპების განცალკევებაზე იქცა იმ ფუნდამენტად, რომელსაც უკვე სამოციან წლებში დაეფუძნა კარგად ცნობილი თბილისის სტაბილური იზოტოპების წარმოება, რომელიც მალე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა. ესეც სოხუმიდან მოდის. თავისი წარმოებით, თავისი მნიშვნელობით ეს ინსტიტუტი ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში და, მგონი, ასეთად რჩება დღესაც ყოფილი კავშირის მთელ სივრცეში.

ასე შეიქმნა ეს დიდი სამეცნიერო სკოლა, სკოლა, რომლის ჩამოყალიბებასაც ორმოცდაათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

მე აღარ შევიჭრები თქვენს სფეროში და აღარ ვისაუბრებ იმ სპეციფიკურ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ თქვენს კომპეტენციაში შედის. ერთს აღვნიშნავ მხოლოდ — ისევ ადამიანურ ფაქტორს:

სოხუმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით არა მარტო დიდ მეცნიერებს, არამედ დიდ ორგანიზატორებსაც. მე მგონი, ჩვენ დღეს უნდა გავიხსენოთ ისინი — გენერალი ალექსანდრე კოჩლავაშვილი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მეცნიერთა წარმატებულ მუშაობას, ინსტიტუტის დირექტორები — ილია ქვარცხავა, ირაკლი გვერდწითელი, ნიკოლოზ ლეონტიევი, რომლებიც მარტო გამორჩეული ადმინისტრატორები კი არ იყვნენ, არამედ შესანიშნავი მეცნიერნი და სამაგალითო პედაგოგებიც. ისინი ხელმძღვანელობდნენ დიდ მეცნიერულ კოლექტივს, ხელს უწყობდნენ მუშაობასა და ცხოვრებაში მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებს, ისინი, უდავოდ, ღირსი იყვნენ მათი.

ეტყობა, სწორედ ამ ადამიანურმა ფაქტორმა განაპირობა ისიც, რომ ინსტიტუტს თამამად შეუძლია იამაყოს თავისი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევებით. ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ამ ინსტიტუტში მუშავდებოდა და იქმნებოდა მთელი რიგი ურთულესი ხელსაწყოები.

ათწლეულების მანძილზე გასაიდუმლოებული ეგრეთ წოდებული „ობიექტები", ხოლო შემდეგ ხალხისთვის ნაკლებად ცნობილი ინსტიტუტი, რომლის ბიუჯეტი ლამის უტოლდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიუჯეტს, იქცა მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ცენტრად. აქ განხორციელდა ბევრი აღმოჩენა, მრავალი მნიშვნელოვანი გამოგონება, აქ შეიქმნა ბევრი უნიკალური ხელსაწყო. საერთაშორისო მასშტაბით მეტად მნიშვნელოვანი ბევრი რამ სწორედ აქ გაკეთდა პირველად. მსოფლიოს მეცნიერებმა იციან ეს, და თუ არ იციან, უნდა გავაგებინოთ, უნდა მივაწვდინოთ ხმა.

ეს იყო საერთაშორისო მასშტაბის ინსტიტუტი არა მარტო დღევანდელობის თვალსაზრისით. იგი თავისი პოტენციით მომავლისკენ მიმართული ინსტიტუტი გახლავთ, ოცდამეერთე საუკუნისთვის შესაფერისი იდეებითა და შესაძლებლობებით.

ახლა ინსტიტუტი, რომელიც მთელი ორმოცდარვა წელიწადი სამაგალითოდ ემსახურებოდა მეცნიერების პროგრესს, თავის მთლიანობაში, თავის მეცნიერულ მასშტაბებში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, რადგან სეპარატისტებმა ბარბაროსულად დაანგრიეს ინსტიტუტი, მეცნიერების ამ მრავალეროვნული კერიდან გარეკეს, განდევნეს ცნობილი ქართველი, რუსი, ებრაელი, სომეხი, აფხაზი თუ სხვა ეროვნების მეცნიერები.

ახლა იგი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს და, თუ გნებავთ, იმავე აფხაზეთის სიძლიერისა და აყვავების ერთ-ერთი გარანტი, მაგრამ ძალამ, რომელიც უპირისპირდება გონებას, ლოგიკას, ტრადიციას, ისტორიასა და მომავალს, დაანგრია ინსტიტუტი სოხუმში, რადგან გაწყვიტა ის მეცნიერული და ადამიანური კავშირები, ურომლისოდაც ამ ქვეყნად არაფერი არ არსებობს.

ნაწილი დევნილი მეცნიერებისა (მსოფლიო მეცნიერებამ უნდა იგრძნოს ამ სიტყვათშეთანხმების ტრაგიზმი) ახლა თბილისშია, სტაბილური იზოტოპების კვლევით ინსტიტუტში, ნაწილი —თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, ოღონდ თბილისში და არა სოხუმში, „კურჩატოვის ინსტიტუტში" და რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა დაწესებულებებში.

ასეთი ინსტიტუტის დაშლა, ასეთი მეცნიერების ლტოლვილებად ქცევა მარტო არაადამიანური მოვლენა კი არ არის, არამედ თავად ადამიანისთვის, მსოფლიოსათვის საშიში მოვლენაც, რადგან დევნილი მეცნიერები თავდაცვითი კომპლექსის ისეთ დარგებზე მუშაობდნენ, რომელთაც მსოფლიო მასშტაბით დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და მნიშვნელობა. სწორედ მსოფლიო მეცნიერების ინტერესებს წარმოადგენს ის, რომ გაჭირვებამ, უბინაობამ, უმუშევრობამ, დაუცველობამ და პიროვნულმა ტკივილმა ეს მეცნიერები სხვა ქვეყნებში არ წაიყვანოს და ინსტიტუტის დანგრევა მსოფლიოს მყიფე მშვიდობის დანგრევის სიმპტომად არ იქცეს.

და, მე მინდა ერთი კითხვა დავსვა, არა იმდენად ჩვენი საზოგადოებისათვის, რამდენადაც თქვენი კოლეგებისათვის სხვა ქვეყნებში. რატომ არ იცავენ კოლეგებს კოლეგები? რატომ შეეგუენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები იმ აზრს, რომ დაინგრა ამოდენა ინსტიტუტი, მეცნიერების ასეთი ცენტრი, რომ დევნილი აღმოჩნდა გამოჩენილი მოღვაწეების და მკვლევრების დიდი რაზმი. რა კეთდება პოლიტიკური მოგვარებისათვის, მოწესრიგებისათვის, კონფლიქტის პრობლემის გადაწყვეტისათვის პოლიტიკური გზებით თუ სხვა გზებით, ეს ყველაფერი ცნობილია. მე დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა შუა აღმოსავლეთის გაჭიანურებული კონფლიქტის — ებრაელთა და არაბთა კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მას შემდეგ, რაც გამოჩნდა სინათლე ბოსნიის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, ვფიქრობ, დადგა აფხაზეთის, საერთოდ, კავკასიის ჯერი. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ პოლიტიკური გზებით და საშუალებებით, აგრეთვე სხვა გზებითა და საშუალებებითაც, რომლებიც შესაბამისი იქნება ალბათ ძალისმიერთანაც, ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. მაგრამ მე კვლავ ვუბრუნდები საკითხს— რატომ არ იცავენ კოლეგებს კოლეგები მთელ მსოფლიოში, ვგულისხმობ მსოფლიოს მეცნიერებს.

რა იქნა, სად დაიკარგა ის სოლიდარობა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ მეცნიერები ყველა დროში, სოლიდარობა, რომელიც არ უშინდებოდა დიდი სახელმწიფოების დამთრგუნველ მექანიზმსაც კი.

განა ვერ დავრწმუნდით, რომ ადამიანთათვის უბედურების მოტანა ერთნაირად ძალუძთ მრავალრიცხოვან თუ მცირერიცხოვან ადამიანთმოძულეებს? სად არიან დიდი რუსი მეცნიერები? სად არიან „კურჩატოველები" და სხვები, ისინი ხომ ერთად მუშაობდნენ, ერთად ქმნიდნენ, ერთად ასრულებდნენ უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფო დავალებებს;

რატომ დუმან გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები? ვინ — ვინ, და მათ ხომ იციან თავისი კოლეგების ფასი და მათი ღირსება.

მინდა შევთავაზო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ინსტიტუტის დირექტორს და გამოჩენილ მეცნიერებს, თუ თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ, მეც მოვაწერ ხელს, და ასეთი მიმართვა უნდა დაეგზავნოს მთელი მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ ინსტიტუტებში, დარწმუნებული ვარ, რომ ისევე როგორც თავის დროზე ამ დარგის ყველაზე გამოჩენილმა მეცნიერებმა თქვეს თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა ბირთვული ომის საფრთხის შენელებისა და დღის წესრიგიდან მოხსნის საქმეში, ასევე ამ ინსტიტუტის გადარჩენისა და აფხაზეთში სამართლიანობის აღდგენის საქმეში სწორედ მეცნიერებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უკეთ მობილიზაციის თვალსაზრისით, ეს რეზერვი ჯერჯერობით გამოუყენებელია.

საქართველოს მთავრობა რაც შეუძლია ეხმარება ინსტიტუტს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. საკითხის პრინციპული გადაწყვეტა, ინსტიტუტის გადარჩენის გზა, ეს არის აფხაზეთის თავის ოჯახში, საქართველოში დაბრუნება, ინსტიტუტის დაბრუნება თავის ფუძეზე, იმ ქართველებისა და იმ დევნილების, ყველა ეროვნების მეცნიერებისა და თანამშრომლების დაბრუნება აფხაზეთში, რომელთაც სხვაგან არ ეცხოვრებათ.

მე ვიცი, ინსტიტუტის მეცნიერებს ერთი სული აქვთ დაბრუნდნენ სოხუმში, ერთი სული აქვთ თავის დირექტორთან, აკადემიკოს რევაზ სალუქვაძესთან ერთად თავი მოიყარონ სოხუმში და მასთან ერთად ყველამ, ვისთვისაც საკაცობრიო იდეალები, მეცნიერული მიზნები და ადამიანთა შორის სიყვარული უპირველესია, საძირკვლიდან დაიწყონ იმ დიდი შენობის აგურ-აგურ აღდგენა, რომელსაც დღესაც სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი ჰქვია.

მეც დარწმუნებული ვარ, ეს დღე მალე დადგება.

სწორედ ამ იმედით გილოცავთ თქვენი ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავს და ამ იმედით ვულოცავ ინსტიტუტის თანამშრომლებს დამოუკიდებელი საქართველოს ჯილდოებით „ღირსების ორდენებით" და „ღირსების მედლებით" დაჯილდოებას.

გმადლობთ.

---

მიღება

## გაეროს განვითარების პროგრამა—საქართველოს

29 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში იუჯინ იუქელი.

შეხვედრაზე ბატონმა იუქელმა განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია საქართველოსათვის სერიოზული დახმარების გაწევა. მან აღნიშნა, რომ იგი შეხვდა ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატებს და მათთან ერთად განიხილა რესპუბლიკისათვის დახმარების რეალური პირობები და შესაძლებლობები. სტუმარმა პრეზიდენტს აცნობა, რომ ევროპაში დაბრუნებისთანავე იგი მიმართავს დონორ ქვეყნებს წინადადებით, რათა თვეში ერთხელ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან ერთად შეიკრიბონ და განსაზღვრონ დახმარების კონკრეტული სფეროები, თუ რისი გაკეთება შეიძლება ქვეყნისათვის დღევანდელ პირობებში. — ჩვენ თქვენს ინტერესებს გავითვალისწინებთ, თქვენი პრიორიტეტი ჩვენი პრიორიტეტია, — განაცხადა ბატონმა იუჯინ იუქელმა.

შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც განსაზღვრავს რესპუბლიკის პარლამენტის მუშაობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში რეალური დახმარების პერსპექტივებს.

პრეზიდენტმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ბატონ იუჯინ იუქელის ვიზიტს საქართველოში და განაცხადა, რომ შენდება ახალი სახელმწიფო, ახალი ეკონომიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მეგობარი ქვეყნების დახმარება დიდად წაადგება ქვეყანას. სწორედ დღეს მათი მხარდაჭერა გვჭირდება რესპუბლიკის განვითარებისა და წინსვლის ამ რთულ გზაზე.

---

პარლამენტი

## იხილავენ კანონს პარლამენტის კომიტეტების შესახებ

**პარლამენტის პლენარულმა სხდომამ მუშაობა გააგრძელა 1 დეკემბერს.**

პარლამენტარმა რეზო ადამიამ განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შესახებ, რომელიც პარლამენტმა 30 ნოემბრის სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღო.

ამიერიდან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ძირითად საქმიანობას აღარ წარმართავენ მუდმივმოქმედი კომისიები. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, შეიქმნება კომიტეტები, რომელთა საქმიანობას საერთო კოორდინაციას გაუწევს პარლამენტის თავმჯდომარე.

კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს აზრთა სხვადასხვა ძირითადად კომიტეტების რაოდენობამ გამოიწვია. მოქალაქეთა კავშირის ფრაქციამ წამოაყენა წინადადება ახალ პარლამენტში თოთხმეტი კომიტეტის შექმნის შესახებ. ეროვნულ-დემოკრატების აზრით კი მათი რიცხვი ათს არ უნდა აღემატებოდეს. ერთი კი უნდა აღინიშნოს: თუკი წინა პარლამენტში თვრამეტი მუდმივმოქმედი კომისია იყო, ამჟამად ის ფაქტი, რომ მათი რიცხვი უნდა შემცირებულიყო, ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტის მეორე თავის მეოთხე მუხლი, რომლის თანახმად შეიქმნება 14 კომიტეტი. ეს კომიტეტებია: საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის; ეკონომიკური პოლიტიკის; დარგობრივი ეკონომიკის განვითარების; თავდაცვისა და უშიშროების; საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, საგარეო ურთიერთობათა; აგრარულ საკითხთა; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის; ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების; თვითმმართველობის და რეგიონული პოლიტიკის; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების; მიგრაციის, ემიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების; საპროცედურო საკითხთა. ზოგიერთი პარლამენტარის მოსაზრების თანახმად, კანონის საბოლოო მიღებამდე კომიტეტების სახელწოდებებმა შესაძლოა სარედაქციო ცვლილებები განიცადოს.

კანონის შესაბამისად პარლამენტს შეუძლია შექმნას ახალი კომიტეტები და გააუქმოს არსებული.

პარლამენტის სხდომამ მუშაობა გვიანობამდე გააგრძელა. სხდომაზე განიხილეს კომიტეტების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილება, კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

**საქინფორმი.**

---

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს ედუარდ სურმანიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
**ზურაბ ჟვანია.**

თბილისი, 1995 წლის 30 ნოემბერი.

---

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს ელდარ შენგელაია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
**ზურაბ ჟვანია.**

თბილისი, 1995 წლის 30 ნოემბერი.

---

### საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
არჩეულ იქნეს გიორგი კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
**ზურაბ ჟვანია.**

თბილისი, 1995 წლის 30 ნოემბერი.

---

მერვე სვეტი

## გააქტიურდება საკონსულოების თანამშრომლობა

29 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიქვაიძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვ. ვინოგრადოვი და მისი თანმხლები პირნი. მხარეებმა განიხილეს საკითხთა ფართო სპექტრი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორი უწყების საკონსულოების თანამშრომლობას და მის შემდგომ გააქტიურებას.

აღინიშნა, რომ საკონსულო სამსახურებმა ახალი მიმართულებით უნდა განავითარონ თავიანთი საქმიანობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთობის ფარგლებში.

შეხვედრაზე განიხილეს, აგრეთვე, რეგიონული პრობლემები.

ხელი მოაწერეს ოქმს ორი ქვეყნის საკონსულო სამსახურების თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, გაიმართა პრესკონფერენცია.

* * *

პრესკონფერენციაზე ვ. ვინოგრადოვმა ილაპარაკა საქართველოსა და რუსეთის საგარეო უწყებათა შორის ხელმოწერილი საკონსულო თანამშრომლობის ოქმის შესახებ.

აღინიშნა, რომ დოკუმენტი ორიენტირებულია ადამიანის ინტერესების დაცვაზე. მის საფუძველზე გამარტივდება სავიზო და საპასპორტო კონტროლის მექანიზმი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფარგლებში. ორივე ქვეყანა გააძლიერებს სხვა სახელმწიფოში საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეების კანონიერი უფლებების ურთიერთდაცვის პრაქტიკას, თუ მოქალაქის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არ არის ერთ-ერთი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენელი. ამასთან, ვალენტინ ვინოგრადოვმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა მოხდება მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციებითა და ნებართვით.

ვ. ვინოგრადოვის თქმით, რუსეთის მესაზღვრეები გუდაუთის ხელისუფლების მიერ გაცემულ პასპორტებს კანონიერად არ ცნობს და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, აფხაზეთიდან წამოსულ მოქალაქეებს აძლევს უფლებას შევიდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, მხოლოდ რუსეთში საქართველოს საელჩოსთან შეთანხმებით. რაც შეეხება სოხუმსა და ტრაპიზონს შორის რუსეთის დროშით გემების მიმოსვლას, ვალენტინ ვინოგრადოვმა განაცხადა, რომ რუსეთის მხარემ ასეთ ქმედებას წერტილი დაუსვა და რუსეთის პროკურატურა იძიებს ამ ფაქტებს.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს კონსულტაციები საკონსულოების გახსნის თაობაზე.

---

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

## ახალქალაქში გაიხსნება რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების თანახმად, შეიქმნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალი. იგი განთავსდება ქ. ახალქალაქის 116-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობაში.

**საქინფორმი.**

---

## თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ახალი ქართული დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
### ბატონ ზურაბ ჟვანიას გამოსვლა
### პარლამენტის 1995 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე

**ბატონო პრეზიდენტო; თქვენო უწმინდესობავ, პატივცემულო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო!**

რამდენიმე დღის წინათ, როდესაც პატივი დამდეთ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ ამირჩიეთ, ჩემს საკმაოდ მოკლე გამოსვლაში ხაზი გავუსვი, რომ 5 ნოემბერს არჩეული დეპუტატები არ მოვსულვართ ცარიელ ადგილზე. ჩვენ მოვედით პარლამენტში, რომელსაც აქვს ძალიან მნიშვნელოვანი, დადებითი ტრადიცია. ეს არის დაპირისპირებულ ძალთა შორის კრიზისულ ვითარებაში ქვეყნისათვის აუცილებელ შეთანხმებათა მიღწევის, პოლიტიკურ დაპირისპირებათა დაძლევის ტრადიცია. ჩემი დღევანდელი გამოსვლის მიზანია, წარმოგიდგინოთ, თუ როგორ ვხედავ ქართული პარლამენტის მომავალს, მის განსაკუთრებულ ადგილს სახელმწიფოს აღმშენებლობის მთლიან სისტემაში და ამოსავალი წერტილი ჩემთვის გახლავთ, ერთის მხრივ, შევინარჩუნოთ და გავაღრმაოთ დადებითი ჩვევები და ტრადიციები, რაც ჩვენ დაგვიტოვა წინა პარლამენტმა, ხოლო მეორეს მხრივ, მოვახერხოთ, სრულად ავსახოთ ის მოთხოვნები, საზოგადოების ინტერესები, რასაც გვიკარნახებს დღევანდელი რეალობა.

ბუნებრივია, პარლამენტის უმთავრესი ფუნქციაა კანონშემოქმედება და, ალბათ, პირველ ყოვლისა, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ის გზა, რომელსაც გაივლის კანონპროექტი შექმნის მომენტიდან პლენარულ სხდომაზე საბოლოო კენჭისყრამდე. ჩვენ შეჩვეული ვართ მხოლოდ იმ დისკუსიებს, იმ განხილვებს, რომლებიც პლენარულ სხდომებზე იმართებოდა, სადაც, გასაგები მიზეზების გამო, საკუთარი პოზიციის არგუმენტაციისა და დაცვის, დებატებში დეპუტატებისა და, მით უფრო, ექსპერტების მონაწილეობის შესაძლებლობანი მკვეთრად არის შეზღუდული. ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც უნდა მივაღწიოთ პირველი დღეებიდანვე, ეს გახლავთ ის, რომ მივცეთ რეალური დატვირთვა საპარლამენტო კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების მუშაობას. ყველა ტრადიციული პარლამენტის მსგავსად, ქართულ პარლამენტშიც სწორედ კომიტეტი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც საკითხის არსებითი გადაწყვეტა მოხდება. პლენარულ სხდომაზე ძირითადად ამ გადაწყვეტილების ფორმალიზება უნდა ხდებოდეს და ალტერნატიული პოზიციების დაფიქსირება. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა დახვეწილი საპარლამენტო კულტურის მქონე სახელმწიფოში პარლამენტის საქმიანობის გაშუქებისას ძირითადი ყურადღება სწორედ ქვეკომიტეტების დონეზე ჩამართულ განხილვებს, საკომიტეტო მოსმენებს ეთმობა. თუ შევხედავთ იმ სატელევიზიო გადაცემებს, სადაც, დავუშვათ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მუშაობა შუქდება, დავინახავთ, რომ დაახლოებით 70 პროცენტი ეთმობა სწორედ საკომიტეტო მოსმენებს და მხოლოდ 20-30 პროცენტი იმ განხილვას, იმ დებატებს, რაც მიმდინარეობს პლენარულ სხდომაზე. სწორედ ეს მიუთითებს იმაზე, რომ რეალური დებატები და რეალურად საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბება ხდება სწორედ საკომიტეტო განხილვის დონეზე. ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მივაღწიოთ ამ ტრადიციის დანერგვას ჩვენს პარლამენტში.

საკომიტეტო მოსმენების დროს დებატებში პრაქტიკულად შეუზღუდავია დეპუტატების მონაწილეობა და, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, შესაძლებელია ჩაერთონ მაღალი რანგის პრო-

(დასასრული მე-2 გვ.)

# თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ახალი ქართული დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა

(შემოკლებით)

ფუნქციონერები და ექსპერტები, ყველა დაინტერესებული უწყების თუ მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენლები. ჩვენ ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ კანონშემოქმედების პროცესი, რა თქმა უნდა, არის, პირველყოვლისა, დეპუტატების, კანონმდებლების კომპეტენცია, მაგრამ, ცხადია, ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ აქ აღმოვაჩინოთ დახმარება, ნოვაციური რჩევები, გავითვალისწინოთ კრიტიკა ადამიანებისა, რომელთაც აქვთ შესაბამისი პროფესიული ჩვევები და მაღალ დონეზე იყოს გარანტირებული საექსპერტო უზრუნველყოფა. თუკი ეს დაინერგება, ნებისმიერი კანონპროექტი, რომელსაც მიიღებს ჩვენი პარლამენტი, დაზღვეული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისა და შეუსაბამობისგან.

როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ კანონშემოქმედებით პროცესზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი, ორ აუცილებელ გარემოებას უნდა გავუსვათ, ალბათ, ხაზი. პირველი, ეს გახლავთ პარლამენტის და მისი კომიტეტებისა თუ ქვეკომიტეტების საქმიანობის აპარატული და საექსპერტო უზრუნველყოფა. ვფიქრობ, სრულიად ახლებურად უნდა გავიაზროთ პარლამენტის აპარატის, მოწვეული ექსპერტების როლი ჩვენს საქმიანობაში. დეპუტატის უმთავრესი მოვალეობა, ალღო აუღოს პოლიტიკურ ვითარებას, მიიღოს პოლიტიკურად, სახელმწიფოებრივად ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილებები, გამომდინარე მათი მრწამსიდან, მსოფლმხედველობიდან. ეს უნდა იყოს პოლიტიკოსის გადაწყვეტილება. მაგრამ იმის მიღმა თითოეულ შემთხვევაში, უნდა იდგეს მაღალკვალიფიციური პროექტები, პროფესიულ დონეზე დამუშავებული საკანონმდებლო აქტები. თითოეული საკანონმდებლო აქტის განხილვას უნდა ახლდეს შესაბამისი საექსპერტო შეფასება, რომელიც გაითვალისწინებს პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს, რაც ახლავს მის ამოქმედებას, მის შეტანას ცხოვრებაში. სწორედ ეს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მოწვეული ექსპერტებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ.

ერთი გარემოება კიდევ: დემოკრატიულ საზოგადოებაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში განმსაზღვრელი ფაქტორია ინფორმაცია, იმ ადამიანების ინფორმირებულობა, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს... ამიტომაც, თუკი ჩვენ გვსურს საქართველოში ავაგოთ პარლამენტარიზმის რეალურად ევროპული მოდელი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ პარლამენტართა საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებს. უზრუნველვყოთ, რომ ნებისმიერ დეპუტატს, ვიდრე საბოლოოდ დააფიქსირებს [illegible] თითონ და გამოთქვამს თავის პოზიციას, ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩვენ დღეს უნდა დავამკვიდროთ სრულიად ახალი სტანდარტები. ჩემი ღრმა რწმენით, პარლამენტის აპარატი უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში პროფესიონალიზმისა და ეფექტურობის ეტალონს. ამ დღეებში, მქონდა საშუალება, ჯერჯერობით ძალიან ზოგადად, გავცნობოდი აპარატის სტრუქტურას, აპარატის ძირითად განყოფილებებს, თანამშრომლებს და უნდა გითხრათ, რომ მრავალი ადამიანი გავიცანი, რომლებიც ნამდვილად ყველაზე მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ თვალსაზრისითაც, ჩვენ არ გვიწევს ნულიდან დაწყება. სხვათა შორის, აი, იმ სოციალური ქაოსის პირობებში, რაც იყო ქვეყანაში, ძალიან ბევრის გაკეთება მოხერხდა. შექმნილია არის ძალიან საინტერესო ბიბლიოთეკა, საინტერესოდ მუშაობდა პარლამენტის კვლევითი სამსახური, მინდა გავუსვა ხაზი, რომ სერიოზული სამართლებრივი ბიურო გააჩნია პარლამენტს, სამართლებრივი სამმართველო არის სრულიად სხვა, ახლებურ პრინციპებზე მომუშავე კადრების სამსახური, ინფორმატიკის სამსახური და მრავალი სხვა. მე არ მინდა ამისი ჩამოთვლა. მოკლედ არის ძალიან ბევრი თანამშრომელი, ვისთან ერთადაც მუშაობა და [illegible], თითოეული ჩვენთაგანისთვის მათგან რამის სწავლა, იქნება ნამდვილად რეალური შემოქმედებითი პროცესი. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ, გასაკეთებელი საკმაოდ ბევრი გვექნება და იმაზეც ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ დაიხვეწოს პარლამენტის აპარატი.

მეორე ფაქტორი, რომელიც დიდ როლს შეასრულებს პარლამენტის ნორმალურ საკანონმდებლო მუშაობაში, გახლავთ აღმასრულებელი სტრუქტურებისა და საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფების, ვიხმართო პირობითად გამოთქმა — ლობისტური ჯგუფების მონაწილეობა კანონპროექტის ინიცირებაში, მათ განხილვასა და შეჯერებაში. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარლამენტის „პროდუქციას" — ჩვენს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს „კონკრეტული მომხმარებელი ჰყავს. ყოველი კანონი გათვლილი უნდა იყოს საზოგადოებისა და მისი ცალკეული ჯგუფების ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, საკომიტეტო განხილვების დროს მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული ის ადამიანები, ვინც უშუალოდ უნდა განახორციელონ და აამოქმედონ ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი. ამ მხრივ, პრინციპულად მიმაჩნია, რომ ყველა სამინისტროსა თუ დიდ სახელმწიფო უწყებაში შემოღებული იქნას საპარლამენტო მდივნის თანამდებობა. ეს უნდა იყოს მინისტრისა თუ უწყების ხელმძღვანელის მოადგილის უფლებებით აღჭურვილი პირი, რომლის მთავარი ფუნქცია პარლამენტთან და მის ცალკეულ სტრუქტურებთან — კომიტეტებთან, ქვეკომიტეტებთან მუდმივი თანამშრომლობა იქნება. ეს საშუალებას მისცემს პარლამენტს სრულად გაითვალისწინოს ის გამოცდილება კონკრეტული პროექტების დამუშავებაში, რაც არსებობს ამა თუ იმ აღმასრულებელ სტრუქტურაში და გაითვალისწინოთ ის პრობლემები, რომლებსაც უნდა იწვევდეს ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის მიღება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ბატონ პრეზიდენტთან და, ვფიქრობ, უახლოეს დღეებში, როდესაც პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას, იქ ღირსეულ ადგილს მიუჩენს ეს ახალი და, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

იმედი მაქვს, ჩემი დღევანდელი გამოსვლით, თუნდაც მცირე ბიძგს მივცემთ საქართველოში ცივილიზებული ლობიზმის ჩამოყალიბებას. ეს საკმაოდ ახალი თემაა ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, თუ საქართველო აშენებს ღია ტიპის საზოგადოებას, სადაც ეკონომიკაშიც, ცხოვრების სხვა სფეროებშიც, სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს არასამთავრობო, არასახელმწიფო სექტორი, შესაბამისად და მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ საკითხს, რომ ჩვენს საქმიანობაში ავსახოთ არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების, დავუშვათ, სამთავრობო სტრუქტურების, ინტერესები, არამედ არასამთავრობო სექტორის ინტერესებიც. ეს სულ უფრო დიდი და მზარდი ჯგუფი იქნება ჩვენი საზოგადოებისა. დასავლურ დემოკრატიაში ამის მრავალმხრივი გამოცდილება არსებობს. ჩვენ ძალიან ყურადღებით უნდა შევისწავლოთ იგი და განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ამერიკული ლობიზმის გამოცდილება. მისი რეგულირება, ძალიან მკაცრად ხდება კანონმდებლობით, რაც, სხვათა შორის, არის სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დარწმუნებული ვარ, ანტიკორუფციული საქმიანობა პარლამენტის მუშაობაში უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად პრიორიტეტს.

პარლამენტის ერთ-ერთ საკონსტიტუციო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყნის არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაც. ვფიქრობ, ცოტა ახლებურად უნდა შევხედოთ ამ ფუნქციის განხორციელებასაც. პარლამენტთაშორისმა კონტაქტებმა სპონტანური და ერთჯერადი ვიზიტების ნაცვლად, რეგულარული და მკაცრად გააზრებული სახე უნდა მიიღოს და დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა მთლიან სისტემაში. ამ მხრივ, როდესაც განვიხილავთ პარლამენტის სტრუქტურებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციები. ეს არის სტრუქტურა, რომლის ანალოგი, ამა თუ იმ სახელწოდებით, არსებობს უკლებლივ ყველა ტრადიციულ პარლამენტში, დასავლეთშიც და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. ამგვარი დელეგაციების რიცხვი, ვფიქრობ, ხუთ-ექვსს არ უნდა აღემატებოდეს და უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებს. აი, ამგვარად, მე ვფიქრობ, რომ როდესაც წარმოვიდგენთ ჩვენი პარლამენტის მუშაობისათვის აუცილებელ სტრუქტურულ დანაყოფებს, უნდა შევქმნათ რეალურად მუშა ქმედითი ქვეკომიტეტები, რომლებიც თავმოყრილი იქნებიან კომიტეტებში და მეორე მხრივ, — საპარლამენტო მუდმივმოქმედი დელეგაციები.

ახლა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი: როგორი უნდა იყოს პარლამენტის ურთიერთობა პრეზიდენტთან, მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან? ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო საკითხი ჩვენს საქმიანობაში. ამ ოთხი წლის განმავლობაში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სახელმწიფოს ახალი ტრადიციები. ხორცი უნდა შეისხას იმ პრინციპებმა, რაც ჩადებულია ჩვენს კონსტიტუციაში, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ პარლამენტისა და პრეზიდენტის ურთიერთობების ის მოდელი, რომელიც უნდა დარჩეს ათწლეულების განმავლობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ქართული სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონირების ძირითადი ღერძი, მისი განმსაზღვრელი.

დიდ საიდუმლოს არ გავამხელ, თუ ვიტყვი, რომ მეც, და 120-ზე მეტი დეპუტატიც, რომელიც გასულია მოქალაქეთა კავშირიდან, სხვა პარტიებიდან, თავს თვლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გუნდის წევრად და ჩვენ მოვედით პარლამენტში, რათა გავატაროთ მისი პოლიტიკა, და ამომრჩეველთა მხარდაჭერა მოქალაქეთა კავშირის მიმართ განპირობებული იყო, პირველ ყოვლისა, მისი ლიდერის ფაქტორით. ამავე დროს, თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ჩვენი ერთი უმთავრესი მიზანია, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პიროვნების თუ პიროვნებათა ადგილი დროთა განმავლობაში დაიკავოს მყარმა სტრუქტურებმა. მოხდეს ინსტიტუციონალიზაცია. ეს გახდება ქვეყნის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების, საზოგადოების სტაბილურობისა და მშვიდობის ურყევი, შეუქცევადი გარანტი. ამიტომაც, ურთიერთობები პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის განხილული უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, სწორედ ინსტიტუციონალისტური თვალსაზრისით, იმ ჩარჩოებში, რასაც ჩვენ განგვისაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. აი, ამას უნდა დავუთმოთ ყურადღება. უახლოეს დღეებში პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს ახალ აღმასრულებელ სტრუქტურებს, შესთავაზებს საკუთარ მოსაზრებებს ფუნქციების, კადრების განლაგების პრინციპების შესახებ. და მე ვფიქრობ, სწორედ ეს გახდება ამ ახალ ურთიერთობათა დასაწყისი. ამიტომ, ყველანი სათანადოდ მომზადებულნი უნდა შევხვდეთ მას.

ჩვენთვის, ყველასათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეალურ გამიჯვნას, სამართლებრივი სახელმწიფოს ამ უმთავრესი პრინციპის დამკვიდრებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. წინასაარჩევნო კამპანიამ ნათლად დაგვანახა, რომ ზოგიერთ დეპუტატობის კანდიდატსაც და ამომრჩეველთა საგრძნობ ნაწილსაც ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი კანონმდებლობის ადგილი და დანიშნულება სახელმწიფო პროცესებში. ამის შესახებ, ალბათ, უნდა ვთქვათ, რომ დეპუტატის საქმე არ არის უშუალოდ ჩაერიოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში, საკადრო საკითხების გადაწყვეტაში და მრავალი სხვა. დასამალი არ არის, რომ საკმაოდ ბევრი დეპუტატობას აღიქვამდა, როგორც ინდულგენციას ნებისმიერი შეცდომისაგან, ერთგვარ პრივილეგიას, რომ არც რაიმე კონკრეტულს აკეთებდნენ და თანაც საზოგადოების ელიტაში ირიცხებოდნენ. ჩვენი ამომრჩეველი უნდა დავარწმუნოთ, რომ პარლამენტის წევრობა გულისხმობს ძალიან დაძაბულ აღმშენებლობით მუშაობას, ძალიან დაძაბულ შრომას და იგი მიმართულია თითოეული კონკრეტული ოჯახის კონკრეტული ინტერესების დაცვისაკენ. დეპუტატობა გულისხმობს უდიდეს პასუხისმგებლობას და, თუკი ამომრჩეველმა ხმა მისცა თითოეულ ჩვენთაგანს, ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო პერიოდის ბოლომდე უნდა დავრჩეთ პარლამენტში და შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. მე ვიცი პრეზიდენტის განწყობილებაც და ჩვენიც, — უნდა გამოირიცხოს დეპუტატთა მასობრივი გადასვლა აღმასრულებელ სტრუქტურებში, მით უფრო ისეთი შეთავსებები, რომლებიც კონსტიტუციითა და კანონებით არის აკრძალული.

როდესაც საუბარია პარლამენტის ურთიერთობაზე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ კონსტიტუცია პარლამენტის მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ძალიან ძლიერ ბერკეტებს ითვალისწინებს. ეს არის კანონშემოქმედება, ბიუჯეტი, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებაზე კანონით გათვალისწინებული კონტროლის უფლება. დღევანდელი და ხვალინდელი მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, იქნება ეს რეგიონული თუ ცენტრალური, ყველას საყურადღებოდ მინდა ვთქვა: პარლამენტი მაქსიმალურად გამოიყენებს ამ ბერკეტებს. ყველა უნდა იყოს მზად იმისთვის, რათა პარლამენტს, მის კომისიებსა თუ ქვეკომისიებს წარუდგინოს ინფორმაცია, ანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ, დააკმაყოფილოს სადეპუტატო შეკითხვები. ჩვენ გვახსოვს ბევრი მაგალითი პარლამენტისადმი აგდებული დამოკიდებულებისა და მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ მსგავსი რამ აბსოლუტურად გამორიცხული იქნება ჩვენს საქმიანობაში. ყველამ, ვისაც სურს იყოს ჩვენს ხელისუფლებაში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რასაც მე ვამბობ. ამის გარანტია არის ჩვენი კონსტიტუცია, ამის გარანტია არის ქვეყნის პრეზიდენტი და ამის გარანტია არის მთლიანად ჩვენი სადეპუტატო კორპუსის ძალიან პრინციპული დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი.

ჩვენ ამდენ ხანს ვისაუბრეთ პარლამენტის ფუნქციებზე, როგორც კანონშემოქმედზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, არის მუდმივი პოლიტიკური ოპონირების, პრინციპული კამათის, ალტერნატიული მდგომარეობის შეჯერების ასპარეზი. პარლამენტი საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და პოლიტიკური პლურალიზმის, სამოქალაქო თავისუფლებათა განმტკიცების უმთავრესი გარანტია. ვფიქრობ, 5 ნოემბრის არჩევნების შედეგები ყველა პირობას ქმნის საიმისოდ, რომ საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდეს სტაბილური პოლიტიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება წარმომადგენლობითი, მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების გამომხატველი პარტიების არსებობაზე. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ჩამოყალიბდება უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთობები პარლამენტში. აი, ამ თვალსაზრისით მინდა შემოგთავაზოთ შემდეგი პრინციპები სამუშაოდ უმრავლესობას, რომელსაც დაეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარებისათვის მომდევნო 4 წლის განმავლობაში. შესაბამისად მას სჭირდება ყველა ბერკეტი საიმისოდ, რომ ეს პასუხისმგებლობა განახორციელოს და 4 წლის შემდეგ გასცეს პასუხი თავის ამომრჩეველს.

ჩვენ, ყველას გვახსოვს მაგალითები, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები სათავეში იდგნენ ამა თუ იმ საკვანძო სტრუქტურას, რაც იწვევდა სიღრმისეულ შეუთანხმებლობას და საბოლოოდ ჩიხში შეჰყავდა ხელისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. თუკი ჩვენ ვცდილობთ კლასიკურ პრინციპებზე ავაგოთ ქართული პოლიტიკური სისტემა, მსგავსი რამ უნდა გამოირიცხოს. უმრავლესობას უნდა ჰქონდეს საშუალება, ცხოვრების ყველა სფეროში გაატაროს ერთიანი პოლიტიკა და შესაბამისად 4 წლის შემდეგ ამომრჩეველთა წინაშე პასუხი აგოს ამ პოლიტიკის შედეგებზე.

მეორეს მხრივ, ოპოზიციისათვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია პარლამენტში მიმდინარე ყველა პროცესზე. მას უნდა ჰქონდეს საშუალება — ტექნიკური, მატერიალური, ინსტიტუციონალური, რომ მოიწვიოს სათანადო ექსპერტები ნებისმიერ საკითხზე კომპეტენტური ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისათვის. საპარლამენტო ფრაქციებმა, ალბათ, ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავონ პარლამენტის პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით და ნებისმიერი დანახარჯები პარლამენტის ბიუჯეტიდან, რომლებიც გათვალისწინებულია პოლიტიკური განვითარებისათვის, უნდა განაწილდეს მკაცრად პროპორციულად ფრაქციებს შორის მათი წარმომადგენლობის შესაბამისად. მე მინდა მივმართო პირველ ყოვლისა ჩემს მეგობრებს, უმრავლესობის წარმომადგენლობას- ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოპოზიციის, ანუ საპარლამენტო უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა, რეალური უზრუნველყოფა, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი უნდა იყოს. ოპოზიციის უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიად მიმაჩნია მისი წარმომადგენლობა პარლამენტისა და კომიტეტების ხელმძღვანელობაში, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის სტატუსით. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ოპოზიციას ექნება ყველა საკითხთან დაკავშირებით რეალური კონტროლის განხორციელების საშუალება და ეს ტონუსს შემატებს, მე ვფიქრობ, უმრავლესობასაც.

თუკი პატივცემული კოლეგებისათვის მისაღები აღმოჩნდება ეს პრინციპები, დარწმუნებული ვარ, თავიდან ავიცილებთ უსაგნო დაპირისპირებასა და კინკლაობას, საპარლამენტო დისკუსიას, ყველაზე მძიმე შემთხვევაშიც კი, მივცემთ კონსტრუქციულ ხასიათს, ეს დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის თვალსაზრისით ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. უწმინდესმა თავის გამოსვლაში გაამახვილა ყურადღება და მეც ცალკე მინდა შევჩერდე პარლამენტგარე ოპოზიციაზე. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არჩევნების შედეგად არაერთი ღირსეული ადამიანი, რომელიც წარმოდგენილია ამა თუ იმ პარტიაში, სამწუხაროდ, ჩამოშორდა საპარლამენტო ცხოვრებას. ჩვენ გამოვედით პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ინიციატივით და, ვფიქრობ, ყველამ ერთად უნდა შევძინოთ ამ იდეას კონკრეტული შინაარსი, ან თუ საჭირო იქნება, ვიპოვოთ სხვა, უფრო მისაღები ფორმები. მთავარი მიზანია, რომ თითოეული ადამიანი, რომელსაც კონსტრუქციული პოტენციალი აქვს, ჩართული იყოს საერთო სახელმწიფოებრივ პროცესებში. ჩვენ ვერ მივცემთ თავს იმის ფუფუნების უფლებას, გავრიყოთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ქვეყნისათვის საჭირო ადამიანები. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სიტყვები, რაც ბრძანა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ინაუგურაციის დღეს: „ჩვენი გამარჯვება არავის დამარცხებას არ უნდა ნიშნავდეს". ყველამ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს სიტყვები რეალობად იქცეს. საზოგადოებამ რეალურად უნდა იგრძნოს ეს მიდგომა და ეს დამოკიდებულება.

ვფიქრობ, არასწორი იქნება დავახასიათოთ პარლამენტის სამომავლო საქმიანობა და არ გავითვალისწინოთ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია — პარლამენტი, როგორც დემოკრატიის სკოლა, დემოკრატიული ტრადიციებისა და ჩვევების დამკვიდრების უმთავრესი ინსტიტუტი. ანარქიის იმ პერიოდის შემდეგ, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ სიმწრით გამოიარა, ყველასათვის ნათელია, რომ დემოკრატია არ ნიშნავს თავაშვებულობას, ქაოსს, დაუსჯელობას, დემოკრატია გულისხმობს საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ცხოვრებას საკმაოდ მკაცრი წესების შესაბამისად. დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია ხელისუფლების წარმომადგენლობითობის პრინციპი, ამომრჩევლისა და არჩეული პირის ურთიერთობანი. ეს გულისხმობს ჩვევების მთელ პაკეტს. მე ასე ვიტყოდი, ამომრჩეველმა უნდა გააცნობიეროს თავისი უფლებები მის მიერ არჩეული პირის მიმართ, უნდა გააცნობიეროს —რის მიღება შეუძლია მას რეალურად საკუთარი ინტერესების დაცვისათვის დეპუტატისაგან, შემდგომში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრისაგან. სწორედ ამ პრინციპის სრულფასოვანი მოქმედება შექმნის თითოეული მოქალაქის უფლებათა რეალიზაციის ნამდვილ საფუძველს ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენს საზოგადოებას ეს ტრადიცია მოშლილი ჰქონდა. ამიტომაცაა, რომ ხშირად ბუნდოვანია წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდეთ და მოვითხოვდეთ ჩვენს მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

ეს იწვევს მოსახლეობის ნიჰილიზმს ხელისუფლებისადმი, ხელისუფლებისა და საზოგადოების გაუცხოებას. ეს საშიშათო სენია, რომლის დაძლევა აუცილებელია ძლიერი და მდგრადი სახელმწიფოს შექმნისთვის. აუცილებელია, რომ მოქალაქეები ენდობოდნენ თავიანთ ხელისუფლებას, თვლიდნენ მას რეალურად საკუთარ ხელისუფლებად. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ურთიერთობას საზოგადოებასთან, ჩვენს ამომრჩევლებთან. პარლამენტში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი უნდა გახდეს მაქსიმალურად გასაგები და მე ვიტყოდი, გამჭვირვალე თითოეული მოქალაქისათვის. პარლამენტი უნდა გადაიქცეს საქართველოში ყველაზე კარგახსნილ სახელმწიფო ინსტიტუტად. მსგავსად სხვა ქვეყნებისა, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზეც უნდა მოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები, გნებავთ ჯგუფები, თუნდაც ყველაზე დაშორებული რეგიონებიდან და ისინი საკუთარი თვალით უნდა ხედავდნენ, თუ როგორ არის მოწყობილი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა, როგორ ხდება კანონპროექტის შექმნა, მისი განხილვა, დანერგვა ცხოვრებაში, რას ნიშნავს ეს ყოველივე მათთვის და მათი ოჯახებისათვის. ამას უნდა ხედავდეს ამომრჩეველი კონკრეტულად. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩვენი ამომრჩეველი, გავხადოთ იგი უფრო მომთხოვნი ჩვენს მიმართ, რეალობად ვაქციოთ დეპუტატის ანგარიშვალდებულების პრინციპი. ამომრჩეველს უნდა სჯეროდეს, რომ თავისი დეპუტატისათვის სწორედ იგი, — მისი ამომრჩეველი არის ყველაზე დიდი თანამდებობის პირი. აი, ეს უნდა დამკვიდრდეს წესად.

პარლამენტის, მისი სტრუქტურების მუშაობის სრული საჯაროობა არის ყოველივე ზემოთქმულის ერთი უმთავრესი საფუძველი. ჩვენ ახლებურად უნდა შევხედოთ პარლამენტის ურთიერთობებს თავისუფალ მასმედიასთან. პრესის თავისუფლება ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი საგულისხმო მონაპოვარია. დამოუკიდებელი ჟურნალისტები ღრმად და საფუძვლიანად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი პარლამენტის თითოეული სტრუქტურის მუშაობის შესახებ და სწორედ ამის საფუძველზე ჩამოაყალიბონ საკუთარი შეფასებები და, თუ გნებავთ, თავიანთი კრიტიკაც ჩვენს მუშაობასთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, მე მინდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს დამოუკიდებელი პრესის ფურცლებიდან ხშირად გაისმის ახლადარჩეული პარლამენტის კრიტიკა, ვიწვეში მის ერთფეროვნებასა და არაეროვნულობაზე. ჩავთვალოთ, რომ ეს ბუნებრივი სინდრომია მას შემდეგ, რაც წინა პარლამენტში 80-მდე პარტია იყო წარმოდგენილი თითო-ოროლა დეპუტატით და რეალურად არც ერთ ძალას არ ჰქონდა შესაძლებლობა ეტვირთა რეალური პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მე მიძნელდება გავიხსენო რომელიმე დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალი წლის განმავლობაში 3-4 პარტიაზე მეტი იყოს წარმოდგენილი. ლაპარაკი არის ყველაზე სტაბილურ და ყველაზე განვითარებულ ქვეყნებზე მსოფლიოში. თუ გავიხსენებთ ბრიტანეთის, ამერიკის, კანადის მაგალითებს, იქ ათწლეულების განმავლობაში ორპარტიული სისტემის საფუძველზე ცხოვრობენ. მსხვილი პარტიების არსებობა და ეს პროცესი საქართველოში სტაბილურობის ნიშანია და არა მრავალფეროვნების მოშლისა.

რაც შეეხება პარლამენტის არაეროვნულობას, ვფიქრობ, უხერხულია ამაზე სერიოზული მსჯელობა მაშინ, როდესაც დარბაზში ზის ათეულობით ადამიანი, ვინც მთელი სიცოცხლე ეროვნული იდეის მსახურებას მიუძღვნა, ვინც შექმნა დღევანდელი საქართველოს სახე. დარწმუნებული ვარ, პარლამენტში უმეტესწილად ძალიან ღირსეული ხალხია წარმოდგენილი, ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან მართლაც ღირსეული პარლამენტი, ის პარლამენტი, რომელიც სჭირდება დღეს საქართველოს.

მე მინდა ასე დავასრულო, რომ კონსტიტუციის მიღებით, საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის არსებობაში. თითოეულ ჩვენს მოქალაქეს შეუძლია იამაყოს იმით, რომ იგი ახალი ქართული დემოკრატიის თანადამფუძნებელი გახდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, ალბათ, მთლიანად ჩვენს რეგიონში.

ზოგიერთ ქვეყანას აქვს საკუთარი ნავთობი, ზოგს — გაზი, ზოგს — ოქრო და თავისი ქვეყნის კეთილდღეობას აგებს მათზე. შეიძლება გაგვეღიმოთ და უცნაურად მოგვეჩვენოთ, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მყარი საწინდარი ჩვენი ქვეყნის წარმატებისა, ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და სიმდიდრისა, და შეიძლება უფრო ძლიერი საწინდარიც, ვიდრე ნებისმიერი ნავთობი, არის ის დემოკრატიული ტრადიცია, რომლის დამკვიდრება საბოლოოდ დაიწყო კონსტიტუციის მიღებით. აი, ეს არის გზა ინვესტიციებისაკენ, ეს არის გზა მსოფლიოში ჩვენი ნამდვილი ინტეგრაციისაკენ, ინტეგრაციისაკენ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში და ეს არის გზა იმისაკენ, რომ საქართველომ დაიკავოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, რომ ჩვენს თითოეულ მოქალაქეს აღვუდგინოთ საკუთარი ღირსების განცდა, ღირსების გრძნობა. ეს არის დემოკრატიული ტრადიციები და ჩვენ, პარლამენტი, ვართ, მე ვიტყოდი, აი ამ განძის უმთავრესი დარაჯი. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია. დიდი მადლობა.

---

## ვიზიტის წინ

### გვესტუმრება გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი

30 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

მხარეებმა განიხილეს საქართველოში გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის კლაუს კინკელის მომავალ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრეს მოსამზადებელი სამუშაოებისა და ვიზიტის ორგანიზაციის წინასწარი გეგმა. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა გერმანიის ფედერალური მინისტრის სტუმრობის მნიშვნელობას ორი სახელმწიფოს შემდგომი თანამშრომლობის განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს ვიზიტი დაგეგმილია ა. წ. 21 დეკემბერს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

---

## რუსეთის პრესის სარკეში

### ნავთობის კონტრაქტის ეთნიკური ნიუანსები

### კომპარტიის ლიდერი კომუნისტი არ არის?

### გრაჩოვს არ „ნაყვარება" კარდენი!

**დაგვიანებულ** გეოგრაფიულ-პოლიტიკურ კამათში — ჩაითვალოს თუ არა კასპიის ზღვა ტბად — ჩაება **„სოვეტსკაია როსია"**. „სახალხო გაზეთმა" კასპიის პრობლემის „პოლიტიკურ გეოგრაფიას" ეთნიკური ელფერიც დაუმატა, ვინაიდან თვლის, რომ ნავთობის კონტრაქტი გამოხატავს ერთაშორის ინტერესებს, რომლებიც რუსეთისას ეწინააღმდეგება. „სოვეტსკაია როსია" ნავთობის ოპონენტებთან ომს საჭიროდ არ თვლის, მაგრამ დაჟინებით მოითხოვს გამოიჩინონ პოლიტიკური ნება, რათა „არ დაუშვან ნავთობის კონტრაქტის რეალიზაცია მისი ახლანდელი სახით".

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის გაზეთი **„პრავდა როსიი"** შავ დღეს აყრის ბლოკ „დერჟავას" თავკაცს რუცკოის იმისათვის, რომ მან გაბედა და ჟირინოვსკის უწოდა „აბორტის მსხვერპლი" და ამასთანავე კომუნისტები „რუსეთის დამაქცევრებად" მონათლა. ნიშანდობლივია, რომ ძალაუფლების ანტაგონისტები ახლა ერთმანეთს დაერივნენ და რაც ენაზე მოადგებათ, იმას ამბობენ მოქიშპეებზე, ასე რომ, შეურიგებელი ოპოზიცია თვალსა და ხელს შუა იშლება ხუხულასავით, ისევე, როგორც რუსეთის დემოკრატია.

**„იზვესტია"** არ იზიარებს ელცინის პროგნოზს, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს ბლოკი „ჩვენი სახლი რუსეთია", ხოლო კომუნისტები ხმების მხოლოდ 10 პროცენტს თუ დააგროვებენ. ამის დასამტკიცებლად იშველიებენ სოციოლოგთა ანალიზის მონაცემებს, რომელთა თანახმადაც „ხელისუფლების პარტია" სათათბიროს ადგილებს კომუნისტებს გადაულოცავს. მაგალითად, ნოემბერში მომავალ ხმის მიმცემთა 23 პროცენტს გადაწყვეტილი ჰქონდა მხარი დაეჭირა რუსეთის კომპარტიისათვის და მხოლოდ 10 პროცენტი აპირებდა „ჩვენი სახლის" თანადგომას. საბოლოოდ დაჰკარგეს პოტენციურ ამომრჩეველთა მხარდაჭერა რუცკოისა და გოვორუხინის პარტიებმა.

**„მოსკოვსკაია პრავდას"** დანართს **„მოია გაზეტას"** მოჰყავს ციტატა „უოლ სტრიტის ევროპული ჟურნალიდან", რომელიც სენსაციურ ამბავს იუწყება: „მდიდრულ სადილზე, რომელსაც ზუთხეული და ხიზილალა ამშვენებდა, **რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა დასავლეთის საბანკო წრეების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იგი არ არის კომუნისტი.** დასავლელმა სტუმრებმა ყურები დაცქვიტეს, მაგრამ შემდეგ დამშვიდდნენ, როდესაც ზიუგანოვმა დაარწმუნა ისინი, თუ არჩევნებში გაიმარჯვებთ, რეფორმები თავისი გზით გაგრძელდება, და, საერთოდ, ჩემს იდეოლოგიას ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვს.

ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის ასეთი მოულოდნელი მანევრი ვერ გაიგეს ვერც ბიზნესმენებმა, და მით უმეტეს, ვერც ლენინიზმის თავგამოდებულმა მომხრეებმა, რომლებიც წითელი დროშების ფრიალით გამოლაგდნენ ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავის აღსანიშნავად.

პოლიტოლოგი ანდრანიკ მიგრანიანი **„მოია გაზეტაში"** განაგრძობს თეორიულ ძიებებს, რათა იპოვოს პასუხი კითხვაზე, „აქვს თუ არა მომავალი რუსეთს?". იგი იშველიებს ისტორიულ პარალელებს და იმოწმებს საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილებას, რომელმაც ფრანგებს გამოატანინა დასკვნა, ყველაზე მეტად რომ არის ზედგამოჭრილი ჩვენზე: „„თავისუფლების ყველაზე სწრაფ გზას მივყავართ მონობის უცუდეს ფორმამდე". აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი დასკვნა: „ხელისუფალთათვის არაფერია იმაზე უფრო საშიში, ვიდრე რეფორმების ხელაღებული და რადიკალური გატარება იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს დემოკრატიული ტრადიციები და ხალხს არ გააჩნია დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა. ასეთ პროცესს შეიძლება შედეგად მოჰყვეს საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი ძალების მკვეთრი პოლარიზაცია და დესტაბილიზაცია". ჩვენ ეს გვეცნობა ახლო წარსულის სტიქიური თავისუფლების მოპოვების დროიდან, როდესაც ეიფორია გადაიქცა ოქლოკრატიად, რომელმაც თავის მხრივ (ობიექტურად, და არა ვიღაცის ბრძანებით) მოითხოვა მკაცრი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. აი, ასე ხდება თეორიზება ძალზე სასარგებლო და პრაქტიკული, როდესაც რეალურ სინამდვილეს ესადაგება. მთავარი დასკვნა: **„ხელისუფლება მაშინ არის ძლიერი და იმავდროულად დემოკრატიული, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებას ეფუძნება.**

ჩეჩნეთის აღდგენის ახალი ფასი დაუანგარიშებია მთავრობის მეთაურს ზავგაევს — 25 ტრილიონი რუბლი. ეს ასტრონომიული თანხა, წერს **„ნეზავისიმაია გაზეტა"**, მოიცავს არა მარტო კონსტიტუციური წესრიგის დამყარების „ხარჯების" დაფარვას, არამედ აგრეთვე ჩეჩნეთის ინტეგრაციას რუსეთის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. აღდგენის პერიოდს 2-3 წელიწადი დასჭირდება, მიაჩნია რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერს ოლეგ ლობოვს. ამასობაში კი, როგორც გაზეთი **„სეგოდნია"** წერს, ბორის ელცინმა, როგორც იქნა, აღიარა, რომ **ჩეჩნეთის კონფლიქტის გადაწყვეტის სამხედრო ბერკეტები არ არსებობს.** ამით პრეზიდენტმა არაორაზროვნად დაადასტურა, რომ სამხედრო ოპერაციები, რომლებიც მისი მითითებით დაიწყო, თავიდანვე შეცდომა იყო. რუსული ანდაზა — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ამ შემთხვევაში ვერაფერი ნუგეში იქნება ათიათასობით დაზარალებული ჩეჩენისა და იმ სამხედროებისათვის, ვინც თავი გასწირა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გულისათვის. ხელისუფლებამ წამოაყენეს წინადადება, მიეცეს ჩეჩნეთს განსაკუთრებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი. ეს გადაწყვეტილება ნაგვიანევია. არადა, ერთი წლის წინათ იგი სავსებით დააკმაყოფილებდა ჩეჩნებს.

**„მოსკოვსკაია პრავდა"** იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამმართველოში გაიმართა ბრიფინგი თემაზე **„მოსკოვში მოქმედ ეთნიკურ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა შესახებ"**. დედაქალაქის კრიმინალისტთა აზრით, მოსკოვის ოპერატიულ ვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენენ ამიერკავკასიიდან ჩასული სტუმრები. ამ ცნობის თანახმად, რუსეთის დედაქალაქში მოქმედებს 14 ქართული დანაშაულებრივი ბრიგადა. ეს უდავოდ სავალალო ფაქტია, მაგრამ თავიანთი დამნაშავენი „ეთნიკურებად" არ ითვლებიან. ამრიგად, ასეთი ლოგიკის მიხედვით, რუსეთის კრიმინალური სამყარო, როგორც ჩანს, ეთნოსს არ ეკუთვნის, თორემ „ქართული სტატისტიკა" მოსკოვის კრიმინალის ოკეანეში ერთი წვეთი იქნებოდა.

მემოდელეების მეფე პიერ კარდენი, გვამცნობს **„იზვესტია"**, ახალი მუნდირების შეკერვას სთავაზობს პაველ გრაჩოვს და მასთან ერთად მთელ რუსეთის არმიას, თუ საამისოდ ჯარს ეყოფა ფული. ეს ხუმრობა არ არის, ვინაიდან კარდენმა შეიმუშავა ახალი ფორმის ტანსაცმელი სპეციალური დამუშავებით. სამხედრო მოდის დიდი მოტრფიალენი აღმოჩნდნენ ჩილელები, რომლებმაც პირველებმა დაუდეს მემოდელეს მრავალმილიონიანი კონტრაქტი. რუსეთის თავდაცვის მინისტრს კი არ „ნაყვარება" კარდენი. ყოველ შემთხვევაში, იგი ჯერჯერობით სდუმს.

**იური მოსეშვილი.**

---

## აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

### მათი პოზიცია საქართველოსათვის მიუღებელია

**მოსკოვში** გრძელდება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ, რომელიც რუსეთის შუამავლობით მიმდინარეობს. მისი მიმდინარეობის განმარტებისას ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა მოლაპარაკებაზე საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძემ 1 დეკემბერს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ, სამწუხაროდ, პრობლემის გადაჭრისადმი აფხაზური მხარის მიდგომაში არავითარი პოზიტიური ცვლილებები არ შეიმჩნევა. იგი კვლავ ცდილობს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ საკითხში მოლაპარაკების წევრებს თავს მოახვიოს კონფედერაციულობის ანუ, მოლაპარაკების პარტნიორები როგორც იტყვიან, მოკავშირე სახელმწიფოს თანაბარსუბიექტურობის იდეა.

### აფხაზეთის მხარის ახალი წინადადებანი

**სოჭი, 30 ნოემბერი. (იტარ-ტასს-საქინფორმი).** აფხაზეთი მზად არის აღადგინოს მოკავშირე სახელმწიფო საქართველოსთან მისი 1991 წლის 21 დეკემბრის საზღვრებში. ეს არის ახალი წინადადება, რომელიც წამოაყენეს მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებაზე.

აფხაზთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას განცხადებაში, რომელიც გაავრცელა დღეს „აფსნიპრესის" სააგენტომ, აფხაზური მხარე ფიქრობს, რომ საჭიროა შეიქმნას ისეთი მოკავშირე სახელმწიფო, რომელშიც ყოველი მხარე შეინარჩუნებს თავის კონსტიტუციას.

„ჩვენს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა, — განაცხადა ვლადისლავ არძინბამ. — ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ მოკავშირე სახელმწიფო წარმოქმნის ორ თანაბარ სუბიექტს. ისინი კი, ექნებათ რა თანასწორი უფლებები, შეძლებენ, ორმხრივი მორიგების საფუძველზე, თავიანთი უფლებამოსილების ნაწილი ერთობლივ გამგეობას დაუქვემდებარონ".

როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტს განუმარტეს საინფორმაციო წყაროებმა ვ. არძინბას გარემოცვიდან, აფხაზეთი არ აცხადებს პრეტენზიას მოკავშირე პარლამენტში ადგილების თანაბარ რაოდენობაზე, მაგრამ სურს ის, რომ აფხაზეთის დეპუტატებს ჰქონდეთ უფლება გამოიყენონ ვეტო იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება აფხაზეთს.

გარდა ამისა, აფხაზეთი მზად არის განახორციელოს ერთობლივი თავდაცვითი პოლიტიკა, რომელიც არ გამორიცხავს აფხაზური და ქართული არმიების არსებობას.

## 3 დეკემბერი – ინვალიდთა საერთაშორისო დღე

# ღვთისშვილთა კავშირს არ მოაკლდება მრევლი და საკეთებელი საქმე

**3 დეკემბერი ინვალიდთა საერთაშორისო დღეა. 1993 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კმაყოფილებით აღნიშნა იმ წევრი ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც 3 დეკემბერს აღნიშნეს ინვალიდთა პირველი საერთაშორისო დღე (რეზოლუცია 48/97). ასამბლეამ მიმართა მთავრობებს, გამოიყენონ ეს საერთაშორისო დღე, რათა მიაპყრონ მოსახლეობის ყურადღება იმ გარემოებას, თუ რამდენს მოიგებს საზოგადოება ინვალიდთა ინტეგრირებით სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.**

**დღეისთვის** საქართველოში ორასი ათასზე მეტი ინვალიდია, მათ შორის, ოცდახუთი ათასზე მეტი ამ კატეგორიის ბავშვი, თხუთმეტი ათასზე მეტი მარტოხელა. სამწუხაროდ, ფიზიკურად შეჭირვებულ ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების შედეგად. ბუნებრივია, თანადგომას საჭიროებენ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები. ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ზნეობრივი მდგომარეობა აშკარას ხდის საზოგადოებრიობისა და ხელისუფლების ყურადღებისა თუ ძალისხმევის კონცენტრირების აუცილებლობას სოციალური დაცვის სფეროში არსებული პრობლემების რეგულირების თვალსაზრისით. დღეს უჭირს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ იმ ადამიანთა ხვედრი გაცილებით მძიმეა, რომელთაც თავიანთი ფიზიკური მდგომარეობის გამო არ გააჩნიათ დამატებითი შემოსავლის წყარო, არაკონკურენტუნარიანნი არიან შრომის ბაზარზე. კვლავ მოქმედებს ის სოციალური ფაქტორები, რაც ყოველთვის აბრკოლებდა მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და იწვევდა საზოგადოებისაგან იზოლაციას.

ბუნებრივად ისმის კითხვა: როცა მიღებულია და მოქმედებს ინვალიდთა უფლებების დეკლარაცია, ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესები, რაც ავტომატურად გავრცელებას ექვემდებარება გაეროს წევრი ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე, ერთგვარად შეივსო საკანონმდებლო ვაკუუმი წინა პარლამენტის მიერ „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მიღებით, შეიქმნა ათეულობით საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელთაც თავიანთივე წესდებით ევალებათ ამ კატეგორიის ადამიანებზე ზრუნვა. ყოველივე ზემოთქმული ერთობლიობაში ხომ უნდა ქმნიდეს იმის რეალურ საფუძველს, რომ გაცილებით უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ დარეგულირდეს ფიზიკურად შეჭირვებულ ადამიანთა პრობლემები.

საქმე ის არის, რომ შრომისუუნარო მოქალაქეთა პრობლემების მოგვარების საქმეში უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს როლი. შესაძლოა, ამ თვალსაზრისით არსებობდეს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა აამოქმედოს ყველა შიდა და გარე რეზერვი, რათა მოსახლეობის შემოსავლები გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს, რათა მოსახლეობას საშუალება მიეცეს უზრუნველყოს თავისი თავი საკვებით, პირველადი მოთხოვნილების საგნებით, კომუნალური მომსახურებით, აუცილებელი მედიკამენტებით; ხოლო, რაც შეეხება შრომისუუნარო მოქალაქეებს, ვფიქრობთ, პენსია-დახმარებების ოდენობა უნდა გაუტოლდეს მინიმალურ ხელფასს. ამასთან, განსაზღვრული უნდა იყოს ადგილობრივი მმართველობის როლი შრომისუუნარო მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე საერთო წესით გაცემულ დახმარებებსა თუ მისაცემლებზე თითოეული ინვალიდისა და ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით დამატებითი შემწეობების დანიშვნისა თუ სხვა სახის დახმარებების გზით და ა. შ.

მართალია, ერთგვარად შეივსო საკანონმდებლო ვაკუუმი, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც გასაკეთებელი კვლავ ბევრია და იმედი გვაქვს ქვეყნის პრეზიდენტი, მთავრობა და ახლადარჩეული პარლამენტი სათანადო ყურადღებას დაუთმობენ და გაატარებენ ღონისძიებებს, საგრძნობლად რომ გააუმჯობესებს ამ კატეგორიის ადამიანთა მდგომარეობას. რაც შეეხება ასერიგად მომრავლებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, აქ ერთი უნდა ითქვას: როცა სურვილს ემატება პასუხისმგებლობა, ეს უკვე მძიმე ტვირთია და უნდა შეგწევდეს უნარი ბოლომდე ზიდო საკუთარი ნებით აღებული სიმძიმე, ან უარი თქვა მის ტარებაზე, სანამ ტვირთად დააწვები ვინმეს (უმრავლეს შემთხვევაში — სახელმწიფოს).

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) აღნიშნავს რა ინვალიდთა საერთაშორისო დღეს, ფიზიკურად შეჭირვებულ ყველა ადამიანს, ასოციაციის ათეულ ათასობით წევრს უსურვებს რწმენაში გაძლიერებას, იმგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებას ქვეყანაში, როცა რეალურად იქნება შესაძლებელი მათი პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად შეუფერხებლად რეალიზაცია.

ჩვენს ქვეყანაში ღვთის ჭეშმარიტი რწმენისა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების პროცესი, რაშიც 1989 წლიდან თავისი წვლილი შეაქვს ღვთისშვილთა კავშირს, ხანგრძლივ პერიოდს გულისხმობს. ამასთან, ამ იდეალების პრაქტიკული განხორციელების შემდგომ. საჭიროა მუდმივი ზრუნვა მიღწეულის დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით.

ღმერთი, რწმენა, მოყვასის, სამშობლოსა და გარემომცველი სამყაროს სიყვარული მარადიული მცნებებია.

სწორედ ამიტომ ღვთისშვილთა მოძრაობას არასოდეს დაემუქრება იდეური სილატაკე, არ მოაკლდება მრევლი და საკეთებელი საქმე.

**ზაზა სიხარულიძე,**
**ღვთისშვილთა კავშირის თავმჯდომარე, ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

---

## ღირსეული მამულიშვილნი

**სრულიად** საქართველოს საეკლესიო კრებამ 1995 წლის სექტემბერში, სხვა დიდ ერისკაცებთან ერთად, წმინდანად შერაცხა თევდორე მღვდელი — თევდორე კველთელი. მწერალმა **გიორგი ხორგუაშვილმა** ამ დიდ მამულიშვილზე დაწერა წიგნი „თევდორე თავდადებული“. გთავაზობთ ამ წიგნის მიხედვით დაწერილ საგაზეთო ნარკვევს.



# „არა ვიქმენ გამცემელი მეფისა და ქუეყნისა“

(თევდორე მღვდელი)

**„ადამიანთა** საბედნიეროდ არსებობს ხალხთა და ძვირფასი სიტყვა თავისუფლება, რომლის მარტო გაგონება სიხარულის ფრთებს ასხამს და ნაზ ოცნებათა ფიანდაზად ეფინება გაგებული კაცის სულსა და გონებას. დედამიწა არ იძლევა მეორე ღირებულებას, მეორე საუნჯეს, რომ გვერდში ამოუდგეს, დაედაროს და შეედაროს თავისი მნიშვნელობით თავისუფლებას“... — ბრძანებდა მიტროპოლიტი ლეონიდე, ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, ბრძანებდა სულიერი თავისუფლებით აღფრთოვანებული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღდგენამ (1917 წ.) რომ განაცდევინა.

ასეთი ამაღლებული სიყვარულით იყო სულდგმული თევდორე მღვდელიც, თევდორე კველთელი თუ ქველთელი, მანგლელადაც რომ ითქმის უფრო ამიტომ, მანგლისის ღვთისმშობლის სამლოცველოში იღვწოდა იგი. მანგლისი ხომ სახელგანთქმული დიდგორიდან სამიოდ ვერსით არის მოშორებული, უფრო ახლოა თევდორე მღვდლის მშობლიური სოფელი (ახლა ნასოფლარი) ველთა ანუ ქველთა, სწორედ დიდგორის მთის რომ მიჰყუდებია სამხრეთ-დასავლეთის მხრით. სწორედ აქ შეიპყრეს შუა ქართლისაკენ მიმავალი თევდორე „თათარხანებმა“.

იმ დროისათვის, როცა თევდორე მღვდლის სულიერი გმირობის ამბავი ხდება, საქართველო გაყოფილი იყო სამ (ქართლის, კახეთის და იმერეთის) სამეფოდ და სამცხის საათაბაგოდ, სამეფოსავით „დამოუკიდებელ“, ერთ დიდ „სამფლობელოს“ რომ წარმოადგენდა. ისინი თავიანთი მხრივ კიდევ წვრილმანდებოდნენ ცალკეულ სათავადოებად, ხშირ შემთხვევაში რომ ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ებრძოდნენ კიდეც. თურქეთი სამცხე-საათაბაგოს არა სჯერდებოდა და ქართლისაკენ ეჭირა თვალი, ქართლის დაპყრობა კი მთელი საქართველოს ხელში ჩაგდებას უდრიდა. აქ გასახსენებელია ორი დიდი მამულიშვილის ნათქვამნი: „ქართლი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო. აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან დაძრული დამპყრობლები უწინარესად ქართლისაკენ ისწრაფოდნენ“ (ივანე ჯავახიშვილი), „როცა ქართლი ძლიერი იყო, საქართველო ძლიერი იყო, ქართლი დაეცა და საქართველოც დაეცა“ (მიხეილ ჯავახიშვილი) და გასაგებია, დამპყრობელი ქვეყნის სწრაფვა ქართლისაკენ.

და აი, 1609 წლის ივნისში ქართლისაკენ დაიძრა ოსმალთა დიდი ლაშქარი. ამ მოვლენის უპირველესი აღმწერი იოსებ ტფილელი ამ შერეულ ჯარში სამოციათას მეომარ-მეკობრეს ითვლის. ოსმალეთის ურდოებში ერივნენ ყირიმელი თათრები, ქართველი მეისტორიენი „თათარხანის ჯარს“ და „მგლისტყაოსნებსაც“ რომ ეძახდნენ. ორი ათასამდე დაითვლებოდა, მართლა რომ მგლობდნენ, განთქმულნი იყვნენ დაუნდობლობით, ვერაგობით და ყაჩაღობითაც... „მგლისტყაოსნები“ მეწინავეობდნენ თურქეთის ჯარებში ამ ქვეყნის წინააღმდეგ ნაფეთქი აჯანყების ჩასაქრობად, აჯანყებულთა გასანადგურებლად, ანუ ძველი მემატიანის გამონათქვამი რომ ვიხმაროთ, „ჯელალიების“ დასასჯელად და ამოსაწყვეტად. ჯელალი ხომ ის პიროვნება იყო, 1519 წელს რომ დიდ სახალხო აჯანყებას მეთაურობდა ოსმალეთის სულთანის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთ. თვითონ ოსმალნი იქნებოდნენ, ქართველები თუ სხვა ეროვნების ჯგუფები, — ყველას ჯელალიებს ეძახდნენ. მე-17 საუკუნის დასაწყისში „ჯელალიობა“ მოსდებოდა საქართველოსაც, უფრორე ქართლსა და სამცხე-საათაბაგოს, სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც. ზოგი მეისტორიეს თქმით, „თათარხანები“ იმჟამად სულაც ბაღდადიდან ბრუნდებოდნენ, ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ, აეკლოთ, ადგილობრივი მკვიდრ-მქონებელნი გაეძარცვათ, დიდი ალაფით მოთარეშობდნენ საქართველოზე გამოვლით და მერე შეუერთდნენ ქართლისაკენ დაძრულ თურქეთის არმიას.

იმ ჟამს ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე თავის საზაფხულო ციხე-აგარაკში — ცხირეთში იმყოფებოდა, ნოსტისა და ერთაწმინდის შუა რომ მდებარეობს, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე.

„კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელიო“, „მუნ კველთას შეიპყრეს მღვდელი ერთი, სახელად თევდორე, პატიოსანი, და მოშიში ღმრთისა და ერთგული მეფისა თავისი“ —გვამცნობენ მემატიანენი. აქ საგულისხმო ისიც არის, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ მღვდლის ღირსებაზე, პატიოსნებაზე, ცოდნასა და ერთგულებაზე. მიგვინიშნებენ, რომ იგი სულიერად ამაღლებული პიროვნებაა, რომელიც თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებებით ყოველმხრივ შემზადებულია მამულისთვის თავი გასწიროს.

შეპყრობილ თევდორეს უბრძანეს ესწავლებინა მეფის სამყოფელის — ცხირეთის გზა. როგორც ჩანს, მღვდელი თავიდანვე არ შეეპუა მომხვდურს და ამიტომაც დაუწყეს ლახტის ცემა და ისე გამოიძალარეს. გადმოატარეს ელიქარის მთა და მიადგნენ თრიალეთის ქედის ერთ-ერთ დიდ სოფელს — გოსტიბეს, საიდანაც სამი მთავარი გზა იტოტება, თრიალეთის ქედის ჩრდილო მხარეს დაკიდებული სხვადასხვა მიმართულებით.

სწორედ ამ გზასაყართან ეჭირა ორ კაცს ხელში თევდორე და უფრო გააძლიერეს ლახტის ცემა: და თან დაჰკიოდნენ: „მიგვიყვანე მეფესთანო“

„და მღვდელმან გულში ასე თქუა: „ჩემის ორი დღის სიცოცხლისათვის ამას რატომ ვიქმ. აწ მოუძღვე და მეფე მოვაკლევინო და ქართლიც გააოხრონ, მე რაღა მეშველებაო და ან ჩემს სულსაო“ (ბერი ეგნატაშვილი).

ორი დღისა კი არა, საუკუნის სიცოცხლითაც რომ ყოფილიყო დაზღვეული, მაინც იმას გადაწყვეტდა, მეფისა და საქართველოსათვის ენაცვალებინა თავისი სიცოცხლე.

„და სცემდნენ ლახტითა, რათა აუწყოს, სად არს მეფე: ხოლო მღვდელი იტყოდა: — „არ ნაცვალ-ვყო საწუთრო ესე წარუვლისა მას და არა ვიქმენ გამცემელი მეფისა და ქუეყნისა“. (ვახუშტი ბაგრატიონი).

თევდორე მღვდელი ყოველივე ამას ფიქრობს სამი გზის გასაყართან და უყოყმანოდ აირჩია ყველაზე ძნელი, თავგასაწირი გზა, ცხირეთის ასაცდენი გზა, ერისათვის თავგანწირვის გზა, რომელსაც თუნდაც უბრალოდ თევდორეს უკვდავების გზას დავარქმევდით.

„მაშინ სანატრელი იგი მღვდელი, მხმეველის კეთილგონიერთა და წმიდათა ვანჰსჯათა, უფროსღა აღირჩევდა სიკვდილსა, ვიდრეღა შინაგანაცემასა მეფისა და მამულისასა“. (ანტონ პირველი კათალიკოსი — ანტონ ბაგრატიონი).

თევდორე მღვდელმა მტრის ლაშქარი ახეტიალა მდინარე თეძმისაკენ, ქვენადრისისაკენ მიმავალი გზით და „ცხირეთზედ დიაღ შორს დარჩნენ“ მათ, „თათარხანებს“ იმ „იწროებში ეწიათ ვნებაიცა მრავალი“. მიუხვდნენ მღვდელს, ჯერ ულვთოდ აწამეს და მერე მოჰკვეთეს თავი. თევდორე მღვდლის ამ მოქმედებას კათალიკოსმა ანტონ პირველმა „სანატრელი აღსასრული ცხოვრებისა“ უწოდა.

იმ დროისათვის ოცდაათ წელს მიტანებული გიორგი სააკაძე თბილისის ამირთ-ამირა, ანუ მოურავი, სხვადასხვა ბრძოლაში გაწრთობილი იყო და ითვლებოდა „მეფის შემდგომ“ კაცად. მან ცხირეთში მყოფ ახალგაზრდა მეფეს ურჩია იქ მდგარიყო, თვითონ თავისი მერანი ცხენით გაფრინდა ახლო-მახლო სოფლებში, მოკლე ხანში მოკრიბა ოთხასამდე რჩეული მეომარი, მერე ქუდზე კაცის დაძახილით ლაშქარი სწრაფად გაიზარდა და „იწროებში“ უგზო-უკვლოდ ხეტიალებ „თათარხანებს“ პირველი დიდი ბრძოლა გაუმართა, დამარცხება აგემა ერთაწმინდის მახლობლად, ცხირეთის ციხის ჩამოდაღმა კარგა მოშორებით, გარიყულას შელმა ქვაბის ხევში, მტერი რომ ჩამოიტყუა „ბრძოლა-ბრძოლით“, ანუ ჩემი მთხრობელის თქმით, „კენწლაობით“, ზურგიდან რომ უცებ „ჩანერგეს“ იქვე ახლოს, ქედს ჩაღმა ტყეში ჩასაფრებულმა სააკაძის რჩეულმა მოლაშქრეებმა. თვითონ მოურავი — მთავარსარდალი რომ უცებ შემობრუნდა და ჩეხეს და ჩეხეს „თათარხანები“. აქ მომხვდურთა ერთი ნაწილს დააყრევინეს თავები.

ამ ქვაბისხევის ბრძოლას მოჰყვა უფრო დიდი ომი სხერტის ჭალაში, ქვაბისხევიდან ხუთიოდე ვერსით რომ არის მოშორებული, ჩრდილო მხარეს, ნიაბის ბოლოს, მეტეხის თავზე.

აქაც გამარჯვება ქართველებისა.

ორივე ბრძოლის ჟამს „მეფე სჰვერეტდა ცხირეთიდან“.

სხერტის ჭალაში დამარცხებულნი და სხვადასხვა მხრიდან, უფრო თეძმის ხეობიდან გამოკრებილი „თათარხანები“ მტკვრის ხეობას აუყვნენ მარცხენა მხრიდან, ბრძოლა-ბრძოლით დაედევნენ კვლავ „ქუდზე კაცის“ დაძახილზე მომრავლებული ქართველი მოლაშქრენი, დიდი ბრძოლა გაიმართა დოესის მინდვრებშიც. სწორედ აქ შემოფეთებია გორიდან მომავალი სომეხი ტერტერა (ყარაღაჯში ან ახალქალაქში თუ მოდიოდა აქ მცხოვრები გრიგორიანი ვაჭარ-ხელოსნების მოძღვარი). სომეხი ტერტერა დიდი სულისა და გულის პატრონი აღმოჩნდა, მანაც თავი დადო მოძმე ქართველებისათვის, უკან გაბრუნებულმა იმ წყალდიდობის ჟამს გორში, მდინარე მტკვრის ხიდის ფიცრები აჰყარა (რა თქმა უნდა, სხვათა მოშველიებით) და მტერს აღარ მისცა საშუალება ქალაქში გასულიყო (გორი მაშინ მთლიანად გაშენებული იყო მტკვრის მარჯვენა მხარეს), აესრულებინა განზრახვა — გორი დაენგრია და აეოხრებინა. დიახ, გმირობად და თავგანწირვად უნდა მიეთვალოს ტერტერას ეს მოქმედება, რადგან თევდორე მღვდელივით მანაც სასწორზე შეაგდო სიცოცხლე, თუმცა მტერს არ ჩავარდნია ხელში, თავის გადარჩენაც მოახერხა, გორისაც და გორელებისაც. სამადლობელია მით უფრო, რომ ძარღვებში უჩუხჩუხებდა ჰაოსის სისხლი. გორელი ტერტერას გმირობაც თევდორეს მღვდლის გმირობის შედეგია.

ხიდის აყრისა და წყალდიდობის გამო ქ. გორში ვერშეღწეული თათართა ურდო მტკვრის მარცხენა მხარეს აუყვა, საციციანოს სოფლებზე ავლით, ხაშურის მახლობლად, სოფ. ბრბონისთან გაკიდა, მტკვრის მარჯვენა მხარეს აუყვა და **ტაშისკარის** მახლობლად, **ნახვეტას** მინდორში დაბანაკდა, ხოლო გიორგი სააკაძის თაოსნობით სხვადასხვა მხრიდან მოკრებილი ქართველთა ლაშქარი სურამის მახლობლად შეიკრიბა.

ტაშისკარის საბრძოლო ეპოპეის ამბავი კარგად არის ცნობილი და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, ტაშისკარის ბრძოლა ქართველი ერის ისტორიაში აღბეჭდილია როგორც ერთ-ერთი დიდი ომი დამპყრობლების წინააღმდეგ. „მაშინ იქმნა დიდი ომი იქით და აქეთ, და დიდი მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, ძუელთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულნი ქართველნი იბრძოდნენ და მისცა ღმერთაგან ძლევა მეფესა ლუარსაბს, ვითარცა პირველ აბრაამს და გედეონს“. (ბერი ეგნატაშვილი). მემატიანე ამ ომს ისეთ დიდ შეფასებას აძლევს, რომ „ძველთა გმირთაგანაც“ ძნელად შესაძლებლად მიიჩნევს. ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის გმირობას ადარებს ბიბლიური პერსონაჟების — ებრაელი ერის მამამთავრისა და მხსნელის აბრაამის და ამავე ერის ერთგული გმირის გედეონის მოქმედებებსა და გმირობებს.

ერთ მუშტად იყვნენ შეკრულნი „სრულიად ქართველნი“, მეფე, მთავარსარდალი, მის ჩამოდაღმა სხვა სარდლები, რიგითი მოლაშქრენი, თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, ქალი, კაცი, ერი, ბერი, — ღმერთმაც ხელი მოუმართა და ამიტომაც სძლიეს ერთი ხუთად მოჭარბებულ მტერს.

მემატიანენი ხაზს უსვამენ ქვაბისხევის, სხერტის ჭალისა და განსაკუთრებით ტაშისკარის ომებში გამოვლენილ ქართველთა უმაღლეს თვისებებს — სამშობლოს სიყვარულსა და თავდადებას, საბრძოლო მზადყოფნას, ერთ მუშტად შეკვრას, ღმერთის რწმენასა და სიყვარულს, ამიტომაც ასმა ქართველმა აჯობა ათას თათარს, „და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარყვეს“.

უამრავ თათარს დააყრევინეს თავები, და ლუარსაბ მეფეს დაუყარეს წინ, ხოლო თათართა ლაშქრის სარდლები — ფერად ფაშის და მუჰამედ ფაშის შვილები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ლუარსაბ მეფის შეპყრობა, თავად შეიპყრო ქართლის მეფემ. ვინც ხმალს გადაურჩა, ქართველთა შეძახილებით იამთრთხალნი, შეშინებულნი, [illegible] ცხებიც და დედაკაცებიც კი შეიპყრობდნენ მათ, [illegible] აჰყრიდნენ, დოლბანდს მოხდიდნენ, „განაშიშვლიან და განუტევნიან“, [illegible] მობილებსა [illegible] ტნენ...

და ამ გამარჯვების მთავარი მოქმედი ზნეობრივი, უკვე უხილავად ქცეული გმირი იყო თევდორე მღვდელი, რომელიც თითქოს ღმერთმა მოუვლინა ქართველებს და რომლის მოქმედებასა და თავგანწირვასაც მოჰყვა ყოველივე ეს. „ამ ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“ — გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

იაკობ გოგებაშვილი ბრძანებს თევდორე თავდადებულზე:

„ამ სახელოვან მამულიშვილს რომ თავი არ გაემეტებინა, მეფეც დატყვევებული შეიქმნებოდა, ქვეყანაც აოხრებული, ბევრი დედა, ბევრი მეუღლე, ბევრი დაძმა ატირდებოდა საქართველოში. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლშვილით საუკუნოდ წყეული და შერცხვენებული შეიქმნებოდა ყველასგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრჯერ სჯობდა იმისთანა სიცოცხლეს.

ახლა, ახლა კი მეფე გამარჯვებული შეიქმნა, ქვეყანა გამოხსნილი, მტერი შემუსრული და მთელ საქართველოში სიხარული დატრიალდა, დაობლებულს ცოლ-შვილს თავდადებულისას მეფე და ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდნენ და თვითონ თევდორე მღვდელმა მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იცხოვრებს“.

თევდორე მღვდელი ხალხის წიაღიდან იყო გამოსული და მის ცხედარს ხალხმავე უპატრონა, სხერტის ჭალას რომ გასცდნენ „თათარხანები“, თევდორეს ცხედარი დაკრძალეს ერთაწმინდიდან ნახევარი კილომეტრის მოშორებით, ხუცუბნის ეკლესიაში.

ამ მოვლენების უტყუარი აღმწერი პლატონ იოსელიანი იმასაც გვამცნობს, რომ თევდორე მღვდლის „ხსოვნის აღსანიშნავად მეფე ლუარსაბ მეორემ აამენა თევდორეს სახელობის ეკლესია, რომელიც დღემდე არსებობსო“, ამას წერს საუკუნენახევრის წინათ. დღეს სოფელი კველთა ნასოფლარად არის ქცეული, თევდორეს სახელზე აშენებული ეკლესია კი ნაეკლესიარად...

* * *

უთუოდ თევდორეს აჩრდილიც ედგათ თვალწინ, როცა სამშობლოს თავს სწირავდნენ მომდევნო ხანათა თავდადებულნიც, ხილულნი თუ უხილავნი...

დიდია თევდორე მღვდლისა და მისი სისხლისა თუ სულისმიერი მოძმე-ნათესავების ზნეობრივი გმირობის ზემოქმედების ძალა.

მაგრამ არანაკლებად მრავლობენ ერის მოღალატენი, ურწმუნონი, სულით მდაბალნი, გონებით ღარიბნი, ბოროტის ზრახვით „მდიდარნი“ ავქართველები, ღალატი რომ შეჰყრიათ მოურჩენელ სენად.

თუ როდისმე დამარცხებულა ქართველი ერი, შემოსეულ მტერთან ერთად ღალატი ყოფილა „მთავარი მოქმედი პირი“.

სხვადასხვა ჟამს ღალატითაც დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, საინგილო, სოჭის მხარე და მისთანა ქართველეთი, თითო ისეთი „ქუეყანა“, ზოგ მოზრდილ-მოწინავე სახელმწიფოსაც რომ დაეტოლებოდა.

ღალატითაც დაგვიპატარავდა, თითქმის გაგვიმესამედდა „ოდესღაც დიდი საქართველო“, გადაჭიმული და გადაძლიერებული „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, კინაღამ გურგანის ზღვამდე და დღევანდელი თურქეთის თითქმის შუაგულამდე რომ საქართველოობდა.

ღალატით დააჩოქეს საქართველო მრავალგზის და სულ ახლახანსაც...

ღალატით დაინაღმა ქვემო თუ შუა ქართლი, მეტადრე სამაჩაბლო, ცხინვალიც რომ შეიძლება ეწოდოს. ღალატით დაინაღმა აფხაზეთი (პირდაპირი გაგებითაც), ღალატით დაინაღმა პარლამენტის შენობაც...

მით უფრო დასაფასებელია და გვეცხოველმყოფელება თევდორეს და მისნაირი მამულიშვილების ერთგულება და თავდადება, ისინი ხომ უხილავად მოქმედებენ ასეთ ღალატთა განაღმვაზე...

დიახაც რომ განუზომელია თევდორე მღვდლისა და მისნაირი ერისკაცების სულიერი ზემოქმედების ძალა, რომელიც უებარი საშუალებაა, სამარადისო-სასიცოცხლო ელექსირია იმისა, რომ ქართველ კაცს შემღვრეული სისხლი დაუკამკამდეს და აუყივლდეს სამშობლოსათვის, გონება გაუმდიდრდეს, ღამე გაუმზიანდეს, გაგულდიდდეს, გასულმტკიცდეს, გაკაცად-კაცდეს, განამდვილ-ქართველდეს, განამდვილ-ქრისტიანდეს და სიკვდილ-სიცოცხლის სარაინდო გზაგასაყართან მიმდგართ მიუშუქოს და მიაყენოს იმ გზას, ბრძოლის, ქმედების, ერთგულების, რწმენის, თავისუფლების და მამულისათვის თავდადების, „სიკვდილთა სიკვდილის დამთრგუნველი“ გზა რომ ჰქვია, სიყვარული რომ ამარცხებს სიკვდილს...

**გიორგი ხორგუაშვილი.**

---

## უცხოეთის პრესიდან

THE UNITED STATES OF AMERICA
100
D
B 83831971 A
4

# ნუ უფრთხით ძველ დოლარებს

**ამერიკელთა უმრავლესობა, ალბათ არცთუ დიდ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ხაზინა იანვრიდან მიმოქცევაში შემოიტანს ახალ 100-დოლარიან კუპიურას. რა თქმა უნდა, ძველ 100-დოლარიანებს ყველგან ადრინდებურად მიიღებენ.**

მაგრამ, შესაძლოა, რუსეთში სულაც ასე არ იყოს, ვინაიდან რუსეთელები გაგიჟებული არიან 100-დოლარიან კუპიურებზე. ისინი იძენენ მას, აგროვებენ და გაცილებით მეტი რაოდენობით ცვლიან, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, გარდა თვით ამერიკისა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კანონი კრძალავს დოლარის გამოყენებას საცალო ვაჭრობაში, მათი მფლობელი მანქანის ან სახლის შეძენისას, როგორც წესი, 100-დოლარიან ბანკნოტებს იხდის.

ინფორმაციამ მიმოქცევაში ახალი ბანკნოტების შემოღების შესახებ ადამიანებში ისეთი შიში გამოიწვია, რომ ბევრი უკვე ცდილობს, თავიდან მოიშოროს ნაღდი ფული და 100-დოლარიან კუპიურებს გერმანულ მარკებში ცვლის.

გადამცვლელი პუნქტები, რომლებიც ჩვეულებრივ უარს ამბობენ ჰიუჯიანი ან რაღაც ნიშანდებული ბანკნოტების მიღებაზე, უკვე დამატებით საკომისიო საზღაურს თხოულობენ. **„ჩვენ გადავაწყდით რეალურ პრობლემას, — გვაცნობა ვიტალი ხიდოროვმა, რუსეთის ბანკების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, რომელიც ქვეყნის უდიდეს საფინანსო ინსტიტუტების უმრავლესობას აერთიანებს. — ვფიქრობ, ეს პრობლემა სულ უფრო სერიოზული გახდება. ადამიანები, შესაძლოა უბრალოდ უარს იტყვიან მიიღონ ძველი ბანკნოტები, როცა ახალი გამოჩნდება. თუ ჩვენ ისინი ვერ დავარწმუნეთ, რომ ძველი ფულიც სრულფასოვანია, კვლავ წარმოიქმნება და გაიფურჩქნება „შავი ბაზარი“.**

ამერიკის მთავრობამ, რომელსაც ახალი 100-დოლარიანი ბანკნოტები იმისათვის შემოაქვს, რომ ყალბი ფულის მკეთებლებს მათი დამზადება გაუძნელოს, რამდენჯერმე სცადა რუსების დარწმუნება, თქვენი ნაღდი ფულის გადაცვლა ყოველთვის შეგეძლებათ, მიუხედავად იმისა, სუფთაა ისინი თუ ჰიუჯიანი, ახალი თუ ძველიო. არაერთხელ გაკეთდა უაღრესად არაორაზროვანი განცხადება, რომ ყველა ამერიკული დოლარის ბანკნოტებს ერთი ფასი აქვს. მაგრამ რუსეთის მსგავს ქვეყნებში ელიტამ შეიძლება სერიოზული ემოციური პრობლემები წარმოქმნას. ფულის მიმართ გამოთქმული დაპირებები არაფერს ნიშნავს ხალხისთვის, რომელიც შეძრწუნებული მისჩერებოდა თუ როგორ გაუფასურდა რუბლი თითქმის მთლიანად სულ რამდენიმე წელიწადში.

**„ამერიკის ფედერალური სარეზერვო ბანკები ყოველთვის მიიღებენ ძველი ნიმუშის ნებისმიერ ამერიკულ ბანკნოტებს მათი სრული ნომინაციის მიხედვით“,** — განუცხადა რუსეთის ბანკირებს აშშ ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა თეოდორ ალისონმა თავისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს, რომლის მიზანიც იყო ახალი 100-დოლარიანი ბანკნოტების მიმოქცევაში შემოტანის პრობლემათა განხილვა. შეერთებული შტატების მთავრობა, ხაზი გაუსვა მან, იზრუნებს იმაზე, რომ ყველას, ვისაც სურვილი ექნება ახალი 100-დოლარიანი ბანკნოტების მიღებისა, შეეძლება ამის გაკეთება. ამიტომ, არავითარ პანიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

შეიძლება ეს სიტყვები დამაიმედებლად ჟღერს, მაგრამ რუსეთში ფულის რეფორმას ჩვეულებრივ თან სდევს ძველი ფულის უგამონაკლისოდ გადაცვლა ახალ ფულზე. და როცა ეს ხდება (უკანასკნელად ეს მოხდა 1991 წელს), შედეგი ყოველთვის ერთია: ადამიანები სასოწარკვეთით გარბიან ბანკებში იმის იმედით, რომ მოასწრონ ახალი ფულის მიღება მისი მარაგის ამოწურვამდე. რუსეთში ფულის რეფორმას ყოველთვის ახლავს პანიკა.

აი, რატომ გაიშალა ესოდენ ფართო პროპაგანდისტული კამპანია ახალი ამერიკული ბანკნოტების მიმოქცევაში შემოღებასთან დაკავშირებით. უდიდესი გაზეთების პირველ გვერდებზე გამოქვეყნებულ სტატიებში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ძველ და ახალ ბანკნოტებს ერთნაირი ფასი აქვთ. ამასვე იმეორებენ სატელევიზიო ახალი ამბების პროგრამები. ბანკირებს ესმით ეს, მაგრამ ძალზე შეშფოთებულნი არიან რიგითი ადამიანები, დიდი ეჭვით რომ შესცქერიან ნებისმიერ მთავრობას, რომელიც ფულის გადაცვლას აპირებს და ამბობს ყველაფერი კარგად იქნებაო.

ამ დღეებში მოსკოვის ცენტრის ერთ გადამცვლელ პუნქტთან რიგში მდგომი ადამიანების უმრავლესობა ახალი 100-დოლარიანი ბანკნოტების შემოღებას პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. რუსეთელებს იმდენად არ სჯერათ საკუთარი ვალუტისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინფლაციამ გააუფასურა, რომ გადაცვლის თვით იდეაც კი აფრთხობთ.

**„ჩვენში წესრიგი არ არის, —** თქვა 38 წლის ნადეჟდა პაშინინამ, 100-დოლარიანი ბანკნოტების გადასაცვლელად მოთმინებით რომ ელოდებოდა თავის რიგს. **— რუსეთში ყოველთვის ჭირს იწინასწარმეტყველო, რა მოხდება, მაგრამ ჩვენ მუდამ უარესს მოველით. მე უკვე გამიჩნდა პრობლემები ძველი ბანკნოტების გადაცვლისას. მათში ჩვეულებრივზე 5 პროცენტით ნაკლები მივიღე“.**

რუსეთის გადამცვლელი პუნქტების უმეტესობა უარს ამბობს 1968 წლამდე გამოშვებული ბანკნოტების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს ყველა კომერციულმა ბანკმა მიიღო რუსეთის ცენტრალური ბანკის დირექტივა, რომელიც ავალდებულებდა მათ მიეღოთ ნებისმიერი ამერიკული დოლარი, თვით 75 წლის ხანდაზმულობისა. მაგრამ ყველა რუსეთელს, ვინც 100-დოლარიან ბანკნოტებს იყენებს, ამას კი, ვისაც შეუძლია, ყველა აკეთებს, სულ ცოტა ერთხელ მაინც მიუღია უარი სასტუმროს სკეპტიკურად განწყობილი თანამშრომლის, ბანკის მკაცრი მოხელის და თვით მომვლელი ქალისაგან.

არსებობს ერთი საფუძველიც, რომ კიდევ შევისწავლოთ ეს პრობლემა: მოჰყავთ რუსეთში ყალბი ფულის წარმოების უაღრესად განსხვავებული მაჩვენებლები. ამერიკის თანამდებობის პირთა განცხადებით მიმოქცევაში არსებული ყალბი ფულის რაოდენობა მინიმალურია. მაგრამ, როგორც ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის მოხელემ აღნიშნა (და გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი გვარი), **„რამდენადაც ფულის გაყალბება პრობლემაა, ეს პრობლემა რუსეთშიც არსებობს“.**

ვინაიდან 100-დოლარიანი ბანკნოტების ორი მესამედი შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ტრიალებს, ყალბი ფულის მომჭრელთა უმრავლესობა დროს არ ფლანგავს 10-და 20-დოლარიანი კუპიურების გაყალბებაზე. ახალ 100-დოლარიან ბანკნოტს შეუძლია შეამციროს ეს საშიშროება იმ საუკუნეში, როცა ფერადი ლაზერული ასლის გადამღებ-გამამრავლებელი მოწყობილობა და ციფრული ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევიან, რომ ყალბი ფული საოცრად გავდეს ნაღდ კუპიურებს.

**„თქვენ შეგიძლიათ რაც გინდა თქვათ იმაზე, თუ რა უნდა მივიღოთ და რა არ უნდა მივიღოთ, —** თქვა წითელ მოედანთან მდებარე გადასაცვლელ პუნქტში მომუშავე ერთმა კაცმა. **— მაგრამ მაინც რატომ უშვებს მიმოქცევაში ამერიკა ახალ ბანკნოტებს, თუკი ძველები პრობლემას არ ქმნიან? ამიტომ, თუ თქვენ სარჩოს შოულობთ ფულის გაცვლით, განა ახალ სანდო ბანკნოტებს ისევე მოეპყრობით, როგორც ძველს, რომლის გაყალბების ხერხი უკვე ცნობილია? ეს ხომ უაზრობაა“.**

**მაიკლ სპექტორი,**
**„ნიუ-იორკ ტაიმსი“.**

---

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

## გულიკო კავსაძე

### გავმთლიანდებით, აღვდგებით მკვდრეთით!

მიძღვნა

მამულო, შენი ვიტვირთე ძელი,
შენი გოლგოთის გზებით ვიარე
და სიყვარულში განბანილ ხელით
შევეხე შენში მთვლემარე იარებს...
მე შენი რწმენის ვიდე ნათელი,
ვინამე ჯვარის ერთადერთობა,
უღალატოდ ოდით ქართველი,
როდესაც ვინმეს გულით ენდობა...
მაგრამ, მამულო, მაჯანმა გესლი
ჩემს ფიალაში ჩაღვარა უხვად,
მათი ქირქილი მე ახლაც მესმის:
„ჩრდილოეთ წადი — აქ ცისქვეშ ნუ ხარ!“...
მიმეტებდნენ და მესროდნენ ქვებსაც,
მტრისა პირისპირ დამტოვეს მარტო,
— სულს მირჩევნია ქართული ზეცა,
შევეწირები მარტვილს და მარტყოფს...
ზღვა მძვინვარებდა, ეკიდა ცეცხლი
ქართულ ხმლებს, ხანჯლებს, მთლად ქართულ ლაშქარს,
მარტოდმთენილმა თაყვანი ვეცი
მიწას სისხლიანს და ცრემლებდამშრალს...
მოღალატეც და ნაღალატევიც
ქართველი იყო და მე მტკიოდა,
ორივე ერთად — ლოცვად მუხლმოყრილს
ილორთან, რუხთან, ჯვართან, სიონთან...
და ცოცხლდებოდა ჩემს თვალწინ თამარ,
ღებავდა ჩვენი სისხლი მის კაბას,
უერთმანეთოდ ვინა ვართ, რა ვართ,
დავითი, ცოტნე, გიორგი, საბა.
გავმთლიანდებით, აღვსდგებით მკვდრეთით,
გადმოვა ჩვენზე უფლის წყალობა,
კვლავ ერთმანეთის დავდგებით გვერდით,
ვგრძნობ ამაღლების გარდუვალობას...
სულს მირჩევნია ქართული ზეცა,
მიყვარს, ვით ყოველ თქვენგანს ისევე,
მე თქვენ გენდობით, მე თქვენი მჯერა,
ჩვენ წინაპრები ერთად გვისმენენ...
მამულისათვის შეწირულ სულებს
ღვთის მდუღარე ცრემლები ალტობს,
ნუღარასოდეს მტრისა პირისპირ
ნუღარ დავტოვებთ ერთმანეთს მარტო...

8. 10. 95.

### კრწანისი

დაწყრულ იმედს, გადაჭრილ მუხებს,
კრწანისის ბრძოლას სისხლისგან დაცლილს,
აქვითინებულ მშობლიურ ფესვებს
დამპყრობი ჩუმად მერქანს რომ აცლის...
ჩავლილ ნაადგილს და დიდთოვლობას,
ხარ-ირემს დაკლულს ატმის ყვავილთან
არ შეიძლება ერქვას მონობა,
უბედობა კი ჰქვია ნამდვილად...
კრწანისი — გლოვის გრძელი ტრამალი,
აღარც მეფე და აღარც მხედრები
და დამშობილი დიდი თამარი
ღვთისმშობლის ხატთან ჩუმი ვედრებით...

### ისევ სოხუმი...

იხსენით, გვედრით, დედა და სატრფო,
აკმარეთ ჯვარცმა უბრალოდ დასჯილთ,
ვინც თქვენ გკლავთ, განა თქვენა გკლავთ მარტო,
ვისაც უყვარხართ, მასაც მკლავს ტანჯვით...
დაჭრილის თვალზე ცრემლი ციმციმებს
— ო, სინამდვილევ, მწარე ხარ ერთობ,
შეუნდე ძმათა სისხლის სიმძიმე
ამ მოტყუებულ ქართველებს, ღმერთო!..

### ალყაშემორტყმულ სოხუმში

იქ ახლა ყველგან სიკვდილი ბუდობს,
სკდება ნაღმი და ქრება სანთელი,
თენდება მძიმედ, ცივად და უნდოდ,
წვალებით კვეთავს წყვდიადს ნათელი...
თენდება უნდოდ, მძიმედ და ცივად,
დაჭრილი მშველელს თვალებით ეძებს,
ქუჩებში ისევ ტყვიები ცვივა,
იმედი თოკით თავს იხრჩობს ხეზე...
ომია, დრტვინავს ზეცა და მიწა,
სისხლიანი ზღვა სისხლისფრად იწვის,
განწირულს ბედის მკვეთელი იცავს
და ისმის გმინვა ცოდვილი მიწის.
— ეს უკვე იყო, ეს უკვე იყო,
ქართველი ქართველს მკლავდა წინათაც,
მკვლელი, მოკლული, ორივე დიდგორს
ვით იფიცებდა, მე ეს მინახავს...

### შენაცა, ბრუტოს?!!

ბრუტოსს არ ეცვა თითქოს მტრის ტოგა,
კეისარს მისი არც ჰქონდა შიში,
ბნელი წარსული გმინავს და როკავს
სარკოფაგების უსიზმრო ძილში...
ბრუტოსს ეწადა დიდება რომის
თუ ამაღლება სურდა თავისი?!
სარკოფაგებთან ლმუილი ლომის,
მხოლოდ ლმუილი ლომის გაისმის...
ამბობენ, ხელებს ბრუტოსის თითქოს
კეისრის სისხლის ედოს სიმძიმე.
არავინ უწყის, მართლა რა იყო, —
დრო ატრიალებს თავის წისქვილებს.
საუკუნეთა ლაბირინთები
ბნელია, როგორც უკუნი ღამე;
და კლეოპატრას ბროლის თითებით
მემატიანე წერს თავის დრამებს...
სარკოფაგების უსიზმრო ძილში
ჩაკარგულია რომიც, ათენიც,
მეფური რისხვა, მონური შიში
მიჰყვება ბილიკს ასჯერ გათელილს...
— შენაცა, ბრუტოს? — ისმის შორიდან
კეისრის ხმა თუ ლომის ღრიალი,
რომის სენატის ცხელი კორიდა
ერთი პწკარია მემატიანის...

### მწვანე მონასტერი

მწვანე მონასტერი — ამენ, ამენ, ამენ...
ანგელოსნი, ალბათ, მხოლოდ ამ წყალს სვამენ...
მწვანე ბილიკები, მწვანე მზე და მთვარე,
მწვანე ხავსი ადევს სამლოცველოს კარებს...
მწვანე ქვებში თლილი ვაზის ჯვარი მწვანე,
მწვანე წყაროები ლოდებს ხელ-პირს ბანენ...
მინდა სული მოგცე, სიყვარულო, ამენ, —
სიცოცხლეზე ტკბილო, არყოფნაზე მწარევ...

## ინფორმბიუროში

### შემდგომშიც დახმარება აღუთქვეს

ამ დღეებში ქ. თბილისის № 3 დამხმარე სკოლაში (დირექტორი ელისო ლოლაძე), სადაც თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ბაზაზე გახსნილია სამკურნალო-პედაგოგიკური ვალდორფის კლასები, ცენტრის ხელმძღვანელის მარინე შოსტაკის და პედაგოგების თამილა ლაშხის, ეკა და ირმა მერიძეების დახმარებით ინვალიდმა ბავშვებმა მოაწყვეს ზეიმი. ზეიმს ესწრებოდნენ საფრანგეთის ელჩის მეუღლე ფან ბლანდინი, საფრანგეთის კონსულის მეუღლე ზარო მიური, საფრანგეთის საელჩოს ჰუმანიტარული დახმარების ატაშე თომას ხალნეე. ამ სკოლაში ნერვული სნეულებებით დაავადებული ბავშვები სწავლობენ.

ფრანგი სტუმრები დაინტერესდნენ ინვალიდი ბავშვების ბედით. ისინი თვალცრემლიანი შეჰყურებდნენ პატარების მიერ წარმოდგენილ სპექტაკლს. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა. ელჩის ქალიშვილმა, 11 წლის მარი ფასიემ დაასაჩუქრა თანატოლები. ფრანგმა სტუმრებმა შემდგომშიც დახმარება აღუთქვეს პატარებს.

მაია ასაკაშვილი.

### ეს ბავშვებს სჭირდებათ!

უკვე სამი წელიწადია თბილისში არსებობს გაეროს ახალგაზრდული ასოციაცია. წლეულს, სექტემბერში, ნაძი აშუღაშვილის თაოსნობით ასოციაციაში შეიქმნა ბავშვთა კომისია. მისი მიზანია ბავშვთა პრობლემების შესწავლა, მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება.

ამას წინათ კომისიამ თბილისის № 1 ბავშვთა სახლში მოაწყო გაეროს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა-ვიქტორინა. აღსაზრდელებმა დიდი ენთუზიაზმითა და სიხარულით მიიღეს მასში მონაწილეობა. მოზარდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მახვილსიტყვაობაში, ჩვენი ქვეყნისა და გაეროს ისტორიის ცოდნაში, სიმღერაში, ცეკვაში, ხატვაში. გამარჯვებულებს ახალგაზრდული ასოციაციის სახელით გადაეცათ დეპარტამენტის, საზოგადოება „ძლევაის" და ბავშვთა ფედერაციის მიერ დაწესებული პრიზები. ასევე დაჯილდოვდნენ განსაკუთრებით აქტიური მონაწილეები.

ია ფაჩულია,
ინა ვაჩიბერიძე
გაეროს ახალგაზრდული ასოციაციის ბავშვთა კომისიის წევრები.

### „ინგლისური პოეზია"

მწერალთა კავშირის საგამომცემლო ცენტრმა „ხომლმა" (ქვესაწარმო „მთარგმნელი") გამოსცა ანთოლოგიის ტიპის კრებული „ინგლისური პოეზია" (მთარგმნელი გიორგი ნიშნიანიძე).

წიგნი 1982 წელს დასტამბული „ინგლისური და ამერიკული პოეზიის" ინგლისური განყოფილების გაორმაგებული გამოცემაა — დაემატა მრავალი ხალხური ბალადა და სიმღერა, ტრადიციული ინგლისური სხარტულები ე. წ. „ლიმერიკები", ხალხური საყმაწვილო ლექსები, შექსპირის სონეტების ახალი თარგმანები, თანამედროვე პოეტები (მათ შორის წლევანდელი ნობელიანტი სიმუს ჰინი) და სხვა.

წიგნი იყიდება გამომცემლობა „მერანის" წიგნის მაღაზიაში, „საუნჯეში" (რუსთაველის პრ.), ვაკისა და საბურთალოს წიგნის მაღაზიებში, თავისუფლების მოედანზე.

### დააკავეს გაქცეულები

30 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს და შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლების მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად „ძებნა-მა-კოლონია" დააკავეს სასჯელთა მოხდის ადგილიდან გაქცეული სამი პირი.

## აწმყო შობილი წარსულისაგან

# ამაღლება იოანესი

**წლევანდელ** „თბილისობაზე" ერთი ფრიად სასიამოვნო ფაქტი მოხდა — ბარათაშვილის ქუჩაზე აღიმართა დიდი ქართველი მოაზროვნისა და მამულიშვილის იოანე პეტრიწის ძეგლი.

...უამრავმა თბილისელმა და დედაქალაქის სტუმარმა მოწიწებით მიაპყრო მზერა ჯუნა მიქატაძის უზადო ნაქანდაკარს. ბევრს შეიძლება სწორედ ასეთი წარმოედგინა იგი — დავით აღმაშენებლის თანამედროვე და თანამებრძოლი ბრძენკაცი... ახალგაზრდებმა ცოცხალი ყვავილებიც დაუწყეს ფერხთით...

აი, სწორედ მაშინ გავიფიქრე ჩემთვის: ყველაფერი კარგია — წინაპრის დაფასებას რა სჯობს, მაგრამ, სპეციალისტების გარდა, იცის კი ვინმემ რაიმე იოანე პეტრიწის შესახებ?.. კი ბატონო, სახელმწიფოს მეთაურმა, ფილოსოფოსმა გურამ თევზაძემ და სხვებმა მშვენივრად ილაპარაკეს პეტრიწის ნააზრევის მნიშვნელობაზე, მის დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე, მაგრამ, ეს ყოველივე, მაინც მოკლე და ზოგადი იყო, და, თანაც, რამდენიმე ათასი კაცის ყურთასმენას არ გასცილებია... ჰოდა, იქნებ ღირდეს საფუძვლიანად გავაცნოთ იოანე პეტრიწის ვინაობა ფართო საზოგადოებრიობას?

აღარ დავაყოვნე, ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა და „თბილისობის" ზეიმს შეუერთდა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გურამ თევზაძე შევაწუხე: მასზე უკეთ ვერც ვერავინ მეტყოდა რაიმეს იოანე პეტრიწის შესახებ.

ბატონი გურამი სიამოვნებით დამთანხმდა და ბაას-ბაასით (პეტრიწის ეპოქაში „გადასულნი") გამოვუყევით რუსთაველის პროსპექტს.

• • •

**თანამედროვე** ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე გურამ თევზაძე კარგა ხანია დაინტერესებულია იოანე პეტრიწის ცხოვრებითა და მოღვაწეობით. 1984 წელს მოსკოვში გამომცემლობა „მისლმა" გამოსცა იოანე პეტრიწის შრომების თარგმანი (მთარგმნელი ილია ვანცხავა), რომლის წინასიტყვაობა და კომენტარები ეკუთვნოდა გურამ თევზაძეს, უფრო ადრე — 1981 წელს — ბერლინში გამოვიდა „ფილოსოფოსთა ლექსიკონი" და სტატია იოანე პეტრიწზე, სწორედ გურამ თევზაძისა იყო... საერთოდ, მას ათობით სტატია აქვს გამოქვეყნებული დიდი წინაპრის შესახებ.

— ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა უნივერსიტეტში, — მიამბობს გურამ თევზაძე, — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლელა ალექსიძემ გერმანულად თარგმნა პეტრიწის ძირითადი ნაშრომი, რომლის გამოცემა სათანადო აპარატურით მიმდინარე წელს არის განზრახული. ამ თარგმანმა უკვე დაიმსახურა ცნობილი სპეციალისტების ყურადღება... გარდა ამისა, ახალგაზრდა მკვლევარებმა აღმოაჩინეს პეტრიწის ფილოსოფიის ზოგი უცნობი წყარო. ასე რომ, პეტრიწი აგრძელებს სიცოცხლეს, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და მოსე გოგიბერიძის დაწყებული საქმე პეტრიწის მემკვიდრეობის შესწავლისა და წარმოჩენისათვის ახალ სიმაღლეებს იძენს.

**— და მაინც, ქართველი საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს ამ პიროვნებას, ბატონო გურამ...**

— იგი იყო დავით აღმაშენებლის დროინდელი ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენელი, დავითის პოლიტიკის მომხრე და საქართველოში ახალი იდეების შემომტანი. ეს ის კაცია, ვინც დავითის დიდი ჩანაფიქრით რწმენისა და ცოდნის შესარწყმელად აგებულ გელათის მონასტერში თეორიულად დააფუძნა ცოდნისა და რწმენისა — ანუ ათენისა და იერუსალიმის გაერთიანება. პეტრიწი წერს: ძილს უფლებასა და მოსვენებას არ ვაძლევდი თავს, რომ ჩემი ერის კულტურა ამაღლებინა ბერძნული კულტურის დონემდეო. მას ამის თქმის სრული უფლება ჰქონდა.

მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, როგორც ბერძნების, ასევე ქართველების მხრიდან, მან, დავით აღმაშენებლის წყალობით, მაინც შეძლო იმ დიდი საქმის გაკეთება, რამაც არსებითად განსაზღვრა მთელი მომდევნო ქართული კულტურა.

**— კერძოდ?..**

— მან შექმნა ქრისტიანული ნეოპლატონიზმი, რომლის მიზანი იყო მთელი წარსული კულტურის მონაპოვართა ქრისტიანობის სამსახურში ჩაყენება და ქართულ ენაზე, ქართველი მკითხველისათვის, ქართულ აკადემიაში მისი სწავლება. მისი ძირითადი ნაშრომი დაწერილია როგორც სახელმძღვანელო.

იოანე პეტრიწმა ქართულ ენაზე აამეტყველა მეხუთე საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი". დაურთო მას კომენტარები და ბოლოსიტყვა, რომლებიც თავად ნაშრომზე გაცილებით დიდია. აქ პეტრიწი ხშირად მიმართავს ქართველ მკითხველს — როგორ წაიკითხოს წიგნი, რას მიაქციოს ყურადღება, არ იჩქაროს, რათა ჩასწვდეს ნაშრომის სიღრმეს, სხვათაშორის, აქ ჩანს პეტრიწის საოცარი პატიოსნება და კეთილსინდისიერება. მაგალითად: ის ეუბნება მკითხველს, თუ ვერ გაიგეთ რაიმე, ავტორს — ე. ი. პროკლეს — არ დააბრალოთ, ზოგჯერ ისეთი რთული აზრი მხვდება, რომ მეც ვერ მითარგმნია ისე ნათლად, როგორც დედანშიაო.

**— ვინაობის შესახებ რა იცით, ბატონო გურამ?**

— ბევრი არაფერია ცნობილი... არ ვიცით, საქართველოს რომელი კუთხიდან იყო, რა გვარისა... შეიძლება ეს კარგიც იყოს — თითქოს განგებამ ისურვა ასე — რუსთაველის მსგავსად პეტრიწიც საქართველოს ყველა კუთხეს ეკუთვნის, ყველა ისაკუთრებს...

არც ის ვიცით, როდის წავიდა საქართველოდან, ბერძნებმა და ქართველებმა სიცოცხლე გამიმწარესო — წერს ერთგან. გადმოცემით, თითქოს ბულგარეთში, პეტრიწონში გრიგოლ ბაკურიანელის მიერ დაარსებულ მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო სწავლით სწავლობდა კონსტანტინეპოლში და ცნობილი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის წრეს ეკუთვნოდა. იტალოსის სკოლა 1083 წელს დაშალეს და დაფანტეს, ფიქრობენ, რომ სწორედ ამის შემდეგ წავიდა იგი ბულგარეთში პეტრიწონის მონასტერში, საიდანაც დავით აღმაშენებელმა მოიწვია, როგორც ცნობილი ფილოსოფოსი.

ზემოთ რომ ნაშრომი ვახსენე, იქ ბოლოსიტყვაში ჩანს, რომ პეტრიწი უკვე ხანშიშესული კაცია, წერს ერთგან: ხელი რომ შეეწყოთ, გაცილებით მეტს გავაკეთებდითო.

**— ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს, რით შეიძლება დაეხმაროს პეტრიწის მოძღვრება?**

— ყველაზე მთავარი პრობლემა დღეს ხომ ჩვენთვის ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების გაგებაა. პეტრიწის მიხედვით ცოდნა არ ეწინააღმდეგება რწმენას, პირიქით — აძლიერებს მას.

სამაგალითოა პეტრიწი, აგრეთვე, პიროვნებისათვის სამშობლოს წინაშე ვალდებულების გაცნობიერების თვალსაზრისით: განსხვავებით ზოგი მაშინდელი თეოლოგისგან, მისთვის ღვთის სამსახური კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საკუთარი ერის სამსახურს, რაც შეეხება სპეციალისტებს, პეტრიწის ფილოსოფია დღესაც სანიმუშო ანალიზს გვთავაზობს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა მიზეზისა და შედეგის მიმართება, დროის პრობლემა, ანალოგიის პრობლემა და სხვა.

**— ამ მემკვიდრეობის გამოცემის საქმე როგორ არის?**

— 1937 წელს რომ გამოსცეს სიმონ ყაუხჩიშვილმა და შალვა ნუცუბიძემ, მერე აღარ გამოსულა პეტრიწის შრომები. ფილოსოფიის ინსტიტუტში უკვე დევს დამანა მელიქიშვილის მიერ მომზადებული (უფრო დახვეწილი, შეჯერებული, დაზუსტებული) ტექსტი პეტრიწის შრომებისა. მართალია ჯერჯერობით, ძალიან უჭირს საგამომცემლო საქმეს, მაგრამ იქნებ რესპუბლიკის მთავრობის ჩარევით მაინც მოგვარდეს მისი გამოცემა, მით უმეტეს, იგრძნობა, რომ ყინული დაიძრა, აი, ძალზე საინტერესო ძეგლი დავუდგით, ალბათ, ახალგაზრდა ქართველი ფილოსოფოსები და თეოლოგები ცხოვრების გზას რომ აირჩევენ, ამ ძეგლთან მოვლენ და პეტრიწისაგან კურთხევას მიიღებენ. გადიადდა, ამაღლდა პეტრიწის სახელი და, ცხადია, მისი მემკვიდრეობაც არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ!..

...**ჩვენ** ამასობაში რუსთაველის პროსპექტი ჩაგვითავებია. ბატონ გურამთან საუბარს რა სჯობს, მაგრამ მასაც თავისი საქმე აქვს. მადლობას ვუხდი, ვემშვიდობები და „პეტრიწის ეპოქიდან" ისევ დღევანდელ თბილისურ გაწამაწიაში ვბრუნდები.

თბილისი კი შემოდგომის მზეში ჩათბუნებულა.

ვილენ მარდალეიშვილი.

## დარბაზის სითბო

**თავისუფალ** ჭიდაობაში ჩემპიონებისა და პრიზიორების აღმზრდელ გიორგი როსტიაშვილს ფრიად კარგი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მუდამ ფიქრიანი, პროფესიონალი მწვრთნელი ახალგაზრდობაში თავადაც ერთობ ჯანიანი იყო, სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში კი ჩვენი ეროვნული საუნჯიდან — ქართული ჭიდაობიდან მოვიდა...

ჭიდაობის მასწავლებელს ბევრი ტიტულოვანი ფალავანი ჰყავს გამოზრდილი: ზარიბეგ ბერიაშვილი, ნოდარ მოდებაძე, ძმები გივი და დავით ყვარელაშვილები, როინ მარსაგიშვილი...

თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე მომხდარი იანვარ-დეკემბრის ცნობილი ტრაგიკული შეტაკებების შემდეგ ბატონი გიორგი მკვეთრად მოტყდა, დადარდიანდა — ცეცხლმა და ტყვიამ მისი სახლკარიც იმსხვერპლა.... ამის შემდგომ დიდხანს ველარ იცოცხლა...

ამაგდარი მწვრთნელის აღზრდილებმა, ცნობილმა მოჭიდავეებმა, კოლეგებმა, ამაგი დაუფასეს მუდამ საჭიდაო ხალიჩაზე მოფუსფუსე, კუნთმაგარი ფალავნების აღმზრდელ გიორგი როსტიაშვილს და ფალავანთა კლუბში გამართეს გიორგი როსტიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 14-15 წლის ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის. ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ბიჭიკო პაპაშვილი. სულ 150 მოჭიდავემ იასპარეზა ხსოვნის ტურნირში.

პირველი ადგილები მოიპოვეს დავით მეტრეველმა (ხაშური), ამირან წიქვაძემ (ხაშური), გიორგი მჭედლიშვილმა (ყვარელი) ნოდარ დვალიშვილმა (გორი), ზვიად გვილავამ (თბილისი), გიორგი კეკოშვილმა (გორი), გიგა გოგიჩაიშვილმა (თბილისი), ვანო გარუჩავამ (თბილისი), ალექსი გამცემლიძემ (თბილისი), დავით ოთიაშვილმა (თბილისი) და ბექა ბერიშვილმა (წალენჯიხა).

მთავარი პრიზი დავით ოთიაშვილს გადასცა გიორგის შვილიშვილმა დავით როსტიაშვილმა.

ხსოვნის ტურნირზე მოვიდნენ ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ფალავნები, რითაც გაალამაზეს შეჯიბრების მსვლელობა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეები მსუბუქი წონის ცნობილი მოჭიდავის ტარიელ ალიბეგაშვილის ხსოვნის ტურნირის ჩატარებასაც აპირებენ...

გოგიტა ითხვისელი.

### საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 2 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრალიური დოლარი | 0. 9347 | ლარი |
| ავსტრიული შილინგი | 0. 1246 | ლარი |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 1. 9298 | ლარი |
| 10 ბელგიური ფრანკი | 0. 4266 | ლარი |
| გერმანული მარკა | 0. 8765 | ლარი |
| ჰოლანდიური გულდენი | 0. 7829 | ლარი |
| დანიური კრონი | 0. 2263 | ლარი |
| 1000 იტალიური ლირა | 0. 7877 | ლარი |
| კანადური დოლარი | 0. 9270 | ლარი |
| ნორვეგიული კრონი | 0. 1987 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1. 2580 | ლარი |
| ფინური მარკა | 0. 2945 | ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 0. 2543 | ლარი |
| შვედური კრონი | 0. 1932 | ლარი |
| შვეიცარული ფრანკი | 1. 0815 | ლარი |
| 10 იაპონური იენი | 0. 1239 | ლარი |
| ეკიუ | 1. 6143 | ლარი |
| 10 ესპანური პესეტა | 0. 1027 | ლარი |
| 100 ბერძნული დრაჰმა | 0. 5322 | ლარი |
| ირლანდიური გირვანქა | 1. 9973 | ლარი |
| 10 ისლანდიური კრონი | 0. 1932 | ლარი |
| ქუვეითური დინარი | 4. 1912 | ლარი |
| 1000 ლიბანური გირვანქა | 0. 7869 | ლარი |
| 100 პორტუგალიური ესკუდო | 0. 8370 | ლარი |
| სინგაპურული დოლარი | 0. 8914 | ლარი |
| 10 000 თურქული ლირა | 0. 2307 | ლარი |
| ეგვიპტური გირვანქა | 0. 3700 | ლარი |
| 1000 რუსული რუბლი | 0. 2500 | ლარი |
| ლიტვური ლიტი | 0. 2863 | ლარი |
| ლატვიური ლატი | 2. 1402 | ლარი |
| 10 ესტონური კრონი | 0. 9972 | ლარი |
| 100 000 უკრაინული კარბოვანეცი | 0. 6438 | ლარი |
| 10 ყაზახური ტენგე | 0. 1786 | ლარი |
| მოლდოვური ლეი | 0. 2522 | ლარი |
| ყირგიზული სომი | 0. 1046 | ლარი |
| 10 000 ბელორუსული მანეთი | 0. 9913 | ლარი |
| 10 უზბეკური სუმი | 0. 3309 | ლარი |
| 1000 აზერბაიჯანული მან. | 0. 2550 | ლარი |
| 100 სომხური დრამი | 0. 2850 | ლარი |

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

РК АУДИТ
АУДИТОРСКАЯ ФИРМА
российская фирма предлагает юридическим и физическим лицам из стран ближнего зарубежья следующие услуги:
◆ ГОТОВЫЕ ПРЕДПРИЯТИЯ В МОСКВЕ
◆ ВОЗМОЖЕН НОМИНАЛЬНЫЙ ДИРЕКТОР
◆ ОТКРЫТИЕ РАСЧЕТНОГО СЧЕТА В КРУПНЕЙШЕМ РОССИЙСКОМ БАНКЕ
◆ АУДИТОРСКОЕ И БУХГАЛТЕРСКОЕ СОПРОВОЖДЕНИЕ
◆ УПРАВЛЕНИЕ РАСЧЕТНЫМ СЧЕТОМ ПО МОДЕМУ
◆ ПРОПЛАТЫ КОНТРАКТОВ И КОНВЕРТАЦИЯ В РОССИИ ЗА 24 ЧАСА
По всем вопросам обращаться по адресу: Россия, Москва, ул. Тверская Застава, д. 3.
Тел.: (095) 250 2728, Факс: (095) 250 3851.

## ხსოვნა

### შაქრო გადელია

გარდაიცვალა კიდევ ერთი ღირსეული მოქალაქე, სპეციალისტი, პიროვნება შაქრო (ინდიკო) ივლიანეს ძე გადელია.

დაიბადა 1937 წელს ქ. სენაკში. სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც მექანიკოსი, გარკვეული დროის მანძილზე მუშაობდა მარტვილის რაიონში სხვადასხვა სამუშაოზე. 1965 წლიდან მოღვაწეობდა ცხაკაიას ავტოსატრანსპორტო სამგზავრო საწარმოში, ხოლო 1982 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს აგროსამშენებლო ფირმა „სენაკში". მის სახელთანაა დაკავშირებული ასფალტ-ბეტონის ქარხნის მშენებლობა.

იგი მისთვის ორგანულად დამახასიათებელი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობითა და მონდომებით უშუალოდ ხელმძღვანელობდა საგზაო-სატრანსპორტო საშუალებებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციას, მას დიდი წვლილი მიუძღვოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში გზების შავი საფარის მოწყობასა და მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელებაში.

ბატონი შაქრო გამოირჩეოდა როგორც კეთილსინდისიერი, ენერგიული და მშრომელი ადამიანი. საზოგადოებაში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, ჰქონდა სხვადასხვა ჯილდოები.

შაქრო გადელია იყო მრავალშვილიანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა კადრების პროფესიულ ჩამოყალიბებაში.

ახლობლები, მეგობრები და კოლეგები არასოდეს დაივიწყებენ მის ნათელ ხსოვნას.

აგროსამრეწველო ფირმა „სენაკის" კოლექტივი.

### ვასილ დონდუა



ქართული ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს თვალსაჩინო პიროვნება გამოაკლდა. გარდაიცვალა ვეტერანი მეგზევე, საავტომობილო გზათა კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ყოფილი უფროსი და კოლეგიის წევრი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ვასილ ნიკოლოზის ძე დონდუა.

ვ. დონდუა დაიბადა 1914 წელს ქ. ბათუმში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის გზატკეცილების სამმართველო სისტემაში. სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ის ფრონტზეა. შემდგომ, 1947 წელს დაამთავრა სამხედრო-სატრანსპორტო აკადემია და მსახურობდა სამხედრო ინჟინრად სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე. 1961 წლიდან, თადარიგში გასვლის შემდეგ, ის კვლავ საავტომობილო გზათა სამინისტროს სისტემას დაუბრუნდა. სწორედ აქ გამოჩნდა მისი მაღალი ერუდიცია, პროფესიონალიზმი, მომთხოვნელობა და პრინციპულობა. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ წამყვან ქვედანაყოფს — კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, ეწეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მონაწილეობდა ომის ვეტერანთა საბჭოს მუშაობაში.

ვ. დონდუა დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

შესანიშნავი პიროვნებისა და ჩინებული სპეციალისტის ბატონ ვასილ დონდუას ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომლებსა და ახლობლებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა"; ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო გზების დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი.

## ხსოვნა

### რუსუდან ლეკბორაშვილი

ღირსეულ ქალბატონს ვაცილებთ — გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, შსს სამედიცინო სამმართველოს ფსიქო-ფიზიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი რუსუდან ალექსანდრეს ასული ლეკბორაშვილი.

იგი გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში დაიბადა 1924 წელს, 1944 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ფრონტზე, მოქმედ არმიაში გაიწვიეს.

განსაკუთრებული ბედ-იღბალი არგუნა ღმერთმა ქალბატონ რუსუდანს: იგი იყო პირველი პოლკოვნიკი ქართველი ქალი, მკერდს უმშვენებდა სამამულო ომის ფრონტებზე მიღებული მთავრობის მრავალი ჯილდო...

თუმცა მანამდე იყო უკრაინის მეორე ფრონტი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია... რამდენი დაჭრილი გამოსტაცა სიკვდილს ამ ჯოჯოხეთურ გზებზე ახალგაზრდა ქირურგმა, რამდენი მადლობა დაიმსახურა ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა...

სწორედ ამ ომის გზებზე ჩამოყალიბდა რუსუდან ლეკბორაშვილი ნამდვილ დასტაქრად, ჭეშმარიტ პროფესიონალად, გულისხმიერ, ყურადღებიან მკურნალად, რაც შემდგომ სრულად გამოავლინა კიდეც ომიდან დაბრუნებულმა მშვიდობიანობის დროს, კერძოდ ჩვენთან — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამმართველოში, სადაც იგი 1951 წელს მოვიდა. სხვადასხვა დროს ქალბატონი რუსუდანი იყო ქირურგი, ექიმი რენტგენოლოგი, ხოლო 1967 წლიდან, თითქმის ოცი წელიწადი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალს ხელმძღვანელობდა და თანამშრომელთა ყველა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო.

ასეთი ადამიანები ღრმა კვალს ტოვებენ ნაცნობ-მეგობართა და ახლობელთა ხსოვნაში. რუსუდან ლეკბორაშვილის ცხოვრება ისე აეწყო, რომ საკუთარი ოჯახის შექმნაც კი ვერ მოახერხა, თითქოს იგი ყველას უნდა დაჰკალებოდა, ქვეყანას უნდა მოკვდომოდა...

იგი მართლაც ქვეყანას მოუკვდა.. ასეთი ქალბატონები სწორედ რომ ჩვენს დიდ წინაპარ ქართველ ქალებს გვახსენებენ, მათი ჯიშისანი არიან...

ვაი რომ, ასეთნი ბევრი აღარ გვრჩებიან!..

რუსუდან ლეკბორაშვილის ხსოვნა დიდხანს იქნება ახლობლების, მადლიერი პაციენტების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო სამმართველო; შსს სამხედრო-საექიმო კომისია; შსს პოლიკლინიკა; შსს ჰოსპიტალი.

## გახსენება



### სიმონ საჯაია

უკვე ორმოცი დღე გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ.

ახალგაზრდა წახვედი ჩვენგან. შენმა დაბადების დღემ უშენოდ ჩაიარა, შენ ხომ სულ რაღაც 34 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ არ დაგცალდა.

არიან ადამიანები, რომლებიც სიკეთისათვის იბადებიან. ასეთი იყავი შენ ყველასათვის, ვინც გიცნობდა.

დრო ვერ გაანელებს ჩვენს მწუხარებას, პირიქით — მონატრების სურვილი კიდევ უფრო გაგვიმძაფრდა. არ ნელდება სევდა, უშენობით გამოწვეული ტკივილი, გვიჭირს შეგუება მწარე სინამდვილესთან.

გვენატრები ჩვენო ძმაო.

შენი მეგობრები.

---

დედა ოლია, მეუღლე იზოლდა ბასილაია, შვილები ოთარი, ნათია, დები გიული, თინა ოჯახებით, დალი, ომარი, მალხაზ აბრამიძეები, გივი სეხნიაშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გელა ოთარის ძე აბრამიძე**

დაკრძალვა 5 XII, 2 ს., კასპის რაიონის სოფელ დოესში.

---

სტეფანე, ლილი მელქონიანების ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**სიმონ ბეჟანის ძე ზარეულიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 5 XII, 2 ს., მცხეთის რაიონი, სოფელი ძალისი.

---

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მეგზევე, საავტომობილო გზების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ყოფილი უფროსი და კოლეგიის წევრი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

**ვასილ ნიკოლოზის ძე დონდუა**

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი, კონცერნი „საქავტოგზა" იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ზურაბ მიხეილის ძე ანთაძეს დედის

**ნადია ვალერიანის ასულ მუმლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აპარატის ღვაწლმოსილი მუშაკი, საბიბლიოთეკო დარგის ექსპერტი

**გოდერძი ვასილის ძე ლომიძე**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

---

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ დავით ბერძენიშვილს მეუღლის

**დოდო წულუკიძე-ბერძენიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უზენაესი სასამართლოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ უზენაესი სასამართლოს წევრს მზექალა ქარსელაძეს მეუღლის

**კარლო პავლეს ძე ქარსელაძის**

გარდაცვალების გამო.

## ამინდი

### 2 დეკემბერს

**დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, უმეტესად თოვლის სახით, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0 +5, დღისით +1 +6, მთაში — ღამით —2 —7, დღისით —2 +3, მაღალ მთაში — —5 —10, დღისით —2 —7 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოს** უმეტეს რაიონებში თოვლია მოსალოდნელი, იქროლებს წამში 10-15, ზოგან 20-25 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —3 +2, დღისით +2 +7, მთაში — ღამით —4 —9, დღისით —3 +2, მაღალ მთაში — ღამით —9 —14, დღისით 0 —5 გრადუსი.

**თბილისში** მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, მცირე თოვლი, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიჩქარის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 0 +2, დღისით +6 +7 გრადუსი.

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**დაიწყო** ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1996 წლის I ნახევრისათვის საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ შპს „საქპრესას" ტერიტორიულ და რაიონულ ფილიალებში, ქ. თბილისის სააქციონერო საზოგადოება „მაცნეს" საწარმოო უბნებში; აგრეთვე შპს „საქპრესაში", 9 აპრილის ქ. № 2, 1995 წლის 20 დეკემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

გამომცემელი — შპს „პრესა" მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60636. ტელ: 99-70-14. მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.